# ხობის მოამბე

№13 (7026) 8-12 აგვისტო,
სამშაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## ცოტნეობა გილოცავთ! დიდგორობა
## 12 აგვისტო, 2014 წელი



ცოტნე შერგილის ძე დადიანი დადიანთა ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია.

1999 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ცოტნე დადიანი წმიდანად შერაცხა. ამასთანავე აღინიშნება ცოტნე დადიანის ხსენების დღე 12 აგვისტო–30 ივლისი (ძვ. სტ.) იგი მშობლებთან ერთად გამოსახულია ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზე.



ისტორიული კოლხეთის ღირსეულ მკვიდრთ, სრულიად საქართველოს გულითადად ვულოცავთ ამ საეკლესიო-ეროვნულ ბრწყინვალე დღესასწაულს—„ცოტნეობას“. დაე, მაცხოვარმა სიყვარულითა და თავდადებით შეკრას და გაამთლიანოს სრულიად საქართველო, რათა ერთად ვადიდოთ შემოქმედი და გავიხაროთ, რომ, ღამე იგი მიიწურა და მოახლოვდა დღე..“

ღმერთმა დაგლოცოთ, წმინდა ცოტნე აღმსარებლის ლოცვით. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ქართველი ერი და სრულიად საქართველო. ამინ!

*ილია-II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.*

## „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“

XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ქართველთა წმინდა მეფემ, დავით აღმაშენებელმა 1121 წლის 12 აგვისტოს, ჯარის საბრძოლო მზადყოფნა ბრძანა. ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელს მგზნებარე მოწოდებით მიუმართავს მეომრებისთვის: **„მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ, ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიღუპებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ.“,**



შემთხვევით არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვებას „ძლევაი საკვირველს“ უწოდებს. ქართველი ერი ყოველთვის მოწიწებით იხსენიებდა დიდგორის გმირებს. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კი ქართველმა ხალხმა ეროვნული დღესასწაული „დიდგორობა“ დააწესა.

## 8 აგვისტოს დაღუპულთა მემორიალთან...



» 6

## საკურორტო ზონის პროექტის პრეზენტაცია



» 2

# საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ახალი ინიციატივები

## საკურორტო ზონის პროექტის პრეზენტაცია





დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე ახალი საკურორტო სეზონის პროექტის პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ინიციატივით ხორციელდება.

პროექტის პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო.

„მოხარული ვარ, რომ აქ, აჭარაში ხორციელდება უპრეცედენტო, ინოვაციური პროექტი–„დრიმლენდ ოაზისი“, რისთვისაც ჩაქვში შემოდის 105-მილიონიანი ინვესტიცია. ეს არის ყველაზე მსხვილი ევროპული ინვესტიცია აჭარაში. ჩვენთვის ნამდვილად საამაყოა, რომ ამ თანამედროვე, ძალიან პერსპექტიული, აპარტ ოტელის ტიპის პროექტის განხორციელების ადგილად ავსტრიელმა ინვესტორებმა სწორედ საქართველოს კურორტი შეარჩიეს. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო არის სანდო და საიმედო პარტნიორი სერიოზული პროექტების განხორციელებისთვის,“- განაცხადა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

საკურორტო ზონა „რეამლანდ ასისში“ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლები განთავსდება. ტერიტორიაზე ამ დროისთვის 21 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. კომპლექსში 3 ღია და 1 დახურული აუზი, აკვაპარკი, კორტები და მოედნები მოეწყობა. ტერიტორიაზე მთლიანობაში 1000 სასტუმროს ტიპის ბინა განთავსდება.

## ხობში მალე ორი ახალი საწარმო გაიხსნება

ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას თაოსნობით ქალაქ ხობში იხსნება თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი, სიმინდის გადამამუშავებელი და ზეთის მწარმოებელი საწარმო. ამის შესახებ დეპუტატმა პარლამენტში გამოსვლისას ისაუბრა: „ხობში ხორციელდება 2 დიდი პროექტი. ეს არის სიმინდის ზეთის და სიმინდის კომბინირებული საკვების წარმოება. ერთი ხორციელდება სასოფლო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში და მეორე, კერძო ინვესტიციით. ეს იქნება საქართველოში პირველი საწარმო, რომელიც ნედლეულის თითოეული გრამიდან მაქსიმალური ღირებულების შექმნის პრეცენდენტს დანერგავს. ამ საწარმოს შექმნა იქნება ერთგვარი სტიმული მომიჯნავე საწარმოების გახსნისა. საწარმო იზრუნებს მცირე მეწარმის კეთილდღეობაზე და ვფიქრობთ ეს დაასტაბილურებს ბაზარზე სიმინდის ფასს. ხელს შეუწყობს სასაწყობე მეურნეობის შექმნას. აუცილებელი მოთხოვნა იქნება ქართული, ადგილობრივი ნედლეულის ჩაბარება. საწარმო დაკომპლექტდება ადგილობრივი მუშახელით, რომელიც შესაბამისად დატრენინგდება“. პროექტის ავტორი და ინიციატორია „შპს საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია ქარვა“, შემსრულებელი კი შვილობილი კომპანია ხობში–შპს „კოლხა.“

## შესაძლოა 17 მაისი უქმე დღედ გამოცხადდეს



ხობის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია 17 მაისის უქმე დღედ გამოცხადების ინიციატივით გამოდის. მან მთავრობასა და დეპუტატებს ამ ინიციატივის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

„როგორც იცით, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვაკურთხევით 17 მაისი გამოცხადდა ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ. ჩვენ, უპარტიო მაჟორიტარებმა მოვიფიქრეთ და შემოვდივართ წინადადებით, რომ ეს დღე უქმედ გამოცხადდეს. მე მგონი, ჩვენს ეკონომიკას ამით დიდი ზარალი არ მიადგება და ეს იქნება ძალიან დიდი საქმე“–აღნიშნავს ბატონი გოდერძი ბუკია.

## ინფორმაციები

**2014 წლის 8 აგვისტოს გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.**

**სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.**

**სხდომის დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად განსახილველად შეტანილი იქნა დებულების პროექტი „ცოტნე დადიანის ჯილდოს შემოღებისა და ამავე ჯილდოს მინიჭებისა და გადაცემის შესახებ“, რომელსაც საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.**

## ხობის „საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭებათ

11 აგვისტოს გამართულ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილული იქნა საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის განცხადებები დამსახურებული ექიმის **ლუთინი ქავთარაძისა** და განათლების ღვაწლმოსილი მუშაკის **შალვა ხარებავასათვის** ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ. რაზედაც „ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N29 დადგენილების შესაბამისად, ბიურომ მიიღო რეკომენდაცია ლუთინი ქავთარაძისთვის ჯანმრთელობის სფეროში გაწეული ღვაწლის, ხოლო შალვა ხარებავასთვის განათლების სფეროში შეტანილი წვლილისა და თითოეულის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე.

აღნიშნულზე წერილობით ეცნობა მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბიუროს რეკომენდაციით გამგებლის მიერ შესაბამისი აქტის გამოცემის მიზნით.

ლელოს ტურნირმა სტარტი აიღო

## ტურნირის გახსნას ამერიკული ფეხბურთის წევრი სკოტ სარანი ესწრებოდა




საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთობლივი ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს ლელოს ფედერაცია, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი თამაშის ლელოს აღორძინებას. ამ ინიციატივის ფარგლებში 4 აგვისტოს შუა ხორგაში სტარტი აიღო მუნიციპალიტეტის პირველობამ ლელო ბურთში, რომელშიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა გუნდები, რომლის ფინალი გაიმართება 12 აგვისტოს ხობის ცენტრალურ სტადიონზე.

ტურნირის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს ლელოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დავით კილასონია, ლელოს ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ამერიკული ფეხბურთის ფედერაციის წევრი სკოტ სარანი, საკრებულოს თავმჯდომარე, სამეგრელოს რეგიონის ვიცე-პრეზიდენტი ედიშერ ჯობავა, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია და წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს სხვა წარმომადგენლები. მათი მხრიდან აღინიშნა, რომ როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი გაკეთდება ამ უძველესი ეროვნული თამაშის განვითარებისთვის, მზადდება პროექტი ლელოს კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში შესატანად.

# „ცოტნეს ადგილის დედაა ხობი“

## ცოტნეს გმირობას რა დაგვავიწყებს!

საკმარისია თვალი გადავავლოთ საქართველოს მატიანეს და ნათლად დავინახავთ თითოეულ პერიოდს თავისი ავკარგიანობით. ქვეყანაში ღალატიც ყოფილა და ერთგულებაც, მაგრამ ქართველობა რისი ქართველობაა, თუ მასში გმირობის ნაპერწკალი არ დევს; ვაჟკაცობა რა ვაჟკაცობაა, თუ მას თავდადებულთა კვალდაკვალ არ უარსებია; თანადგომა რა თანადგომაა, თუ მასში ცოტნეს გენაღზევებული სულის სიდიადე არ ჩანს. „კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა, პატიოსანი და სათნოებიანი, მბრძოლთა შინა ხელოვანი“ – ასე ახასიათებს ჟამთააღმწერელი მას.

ყველა თაობას და საუკუნეს ჰყავს თავდადებულები. ჩვენი მუნიციპალიტეტის რეალურ ცხოვრებაშიც გვყავს გმირები – ხობელი ახალგაზრდები, რომელთა სიცოცხლე აგვისტოს ომმა შეიწირა. დადიანების საძვალე მიწას მშვიდად მიბარებულები და ჩვენს გულებში სამარადჟამოდ ცოცხლად ჩასახლებულები.

ცოტნეობა გმირების დღეა! ჩვენი მეობის, მეგობრობის, ურთიერთთანადგომისა და ქართული პოლიტიკური აზრისთვის საქართველოს ერთგულ ძალთა შეკავშირების სიმბოლო.

გილოცავთ ხობელებო! ცოტნეს გმირობას რა დაგვავიწყებს, ქართველი ვართ, რომ გასძახოდა და მტრის ჯავრი ვერ გატეხა. ვიყოთ მუდამ გაუტეხელნი, ერთ მუშტად შეკრულნი ჩვენი ქვეყნის, სიყვარულის, სათნოებისა და თვითშეგნების სადარაჯოზე.

*გოდერძი ბუკია,*
*საქართველოს პარლამენტის წევრი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი*

## გამარჯვებას თანადგომით მივაღწევთ

სრულიად საქართველოს ვულოცავ დასავლეთ საქართველოში „ცოტნეობას“ ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში „დიდგორობას“.

ნიშანდობლივია, რომ ამ დღეს ცოტნე დადიანის სულიერი გამარჯვება და დიდგორის ველზე ქართველთა საომარი დიდება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძირძველი და ფუძემტკიცე საფუძველია.

ამიტომ ხობს ისტორიული პატივი ერგო, ცოტნე დადიანის ფრესკააღბეჭდილი მონასტრიდან აღინიშნოს ერისკაცისა და წმიდანის ხსენების დღე!

ხობელებს კი გვერგო ცხოვილით სავსე პატივი, ვიამაყოთ ცხრა ხობელი ვაჟკაცით, რომლებმაც სწორედ აგვისტოს თვეში, ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღემდე, დღეებით ადრე შესწირეს თავი მამულს.

თქვენთან ერთად ვუსურვებ საქართველოს შეკრულიყოს ერთიან, მტკიცე ნებად, სადაც უომრად თუ ომში გამარჯვებას ერთმანეთის ღირსეულად, თანადგომით მივაღწევთ!

*ედიშერ ჯობავა,*
*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.*

## მამულისთვის თავდადებული

ძირძველი კოლხური მიწა, საქართველოს ერთიანობისთვის საუკუნეების წინ მებრძოლ გმირთა და წმიდანთა სავანე და ოდამადეა.

აგვისტო ხობელებისათვის ისტორიული, რელიგიური და პატრიოტული მნიშვნელობის გახდა, რადგან 8 აგვისტოს აღვნიშნავთ ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ხობელი ბიჭების ხსოვნის, ხოლო 12 აგვისტოს ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს.

მამულისთვის თავდადებული ცოტნე დადიანის გმირობაზე აღზრდილმა ოცდამეერთე საუკუნის თაობამ გვაჩვენა, რომ მამულისთვის თავგანწირვა ჩვენს გენშია და ამ გენს, ამ სულს გადაშენება არ უწერია, იშვიათია შემთხვევა, როცა წმიდანის დღეს აღინიშნება მისი ერისკაცობის დღესასწაული. ამ დღეს ხობში ტრადიციული „ცოტნეობაა“—ამაღლებული და სახალხო.

ხობის მუნიციპალიტეტის თითოეული მაცხოვრებელი, ყველა, ვინც ამ დღეებში ხობს სტუმრობს, ზოგადქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სტუმარი ხდება.

თქვენთან ერთად ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს ძლიერებას, რისთვისაც ყველას ჩვენი მისია გვაკისრია. ეს მისია ყველას ღირსეულად გვეტარებინოს!

*გოჩა ქაჯაია,*
*ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.*

## „ცოტნეიდელობა“ დიდ ქართველობას ნიშნავს



მაქვს პატივი მოგესალმოთ და მოგილოცოთ ცოტნეობის დიდი დღესასწაული, რომელიც „ძლევაი საკვირველით“ არის გაბრწყინებული. მინდა გითხრათ, რომ ერი, რომელიც პატივს არ მიაგებს ღირსეულთ, კვდება... დღეს ქართველი ერის მიერ პატივგებული წინაპართა უკვდავი სული, მარადისობიდან ჩვენთან ჩამობრძანების, რწმენისა და ზნეობის ჩაუმქრალი ლამპარია. სწორედ ასეთ ზნეობრივ გმირად გვევლინება წმიდანად კანონიზირებული, სულმნათი ცოტნე დადიანის სული. თაობებს შორის მემკვიდროებით მიბაძვის ერთიანი ქართული ფენომენის დამაკავშირებელი და გამაერთიანებელი ხიდის სახით.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ დღეს, 12 აგვისტოს აღინიშნება წმინდა ცოტნე ალმსარებლის ხსენების დღე, რამეთუ დიდგორის ბრწყინვალე გამარჯვების დღეც ამ თარიღს ემთხვევა, მინდა, ამ თარიღის ერთად აღნიშვნის დაწესებისათვის უდიდესი მადლობა გადავუხადო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებს, უწმინდესისა და უნეტარესის ილია-II მეთაურობით, რომლებმაც დააფასეს ცოტნე დადიანის ბრწყინვალე ღვაწლი და იგი წმიდანად შერაცხეს.

ცოტნე დადიანმა გენიალური დიპლომატიითა და გამჭრიახობით, მაღალი ზნეობით, გამოჩენილი რაინდობით, მოყვასისადმი თავდადებითა და სიყვარულით სამშობლოს გარდაუვალი საბედისწერო ტრაგედია ააცდინა. მან ნებაყოფლობით გოლგოთას გზის არჩევანით გამოჩენილი გმირობის, სიბრძნისა და კაცთმოყვარეობის შედეგად გარდაუვალ სიკვდილს გადაარჩინა ერის მმართველი, რჩეული თავკაცები და დიდებულები.

ცოტნე დადიანის „ქებისა ღირსი“ ნაბიჯი და „საქმე საკვირველი“ არ მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ მან ქართული ფეოდალური არისტოკრატია სიკვდილისაგან იხსნა. მონღოლები ამბობენ: „ვინაითგან ნათესავნი ქართველნი ესოდენ კეთილ არიან“–აი, სწორედ ეს არის ცოტნეს ნაბიჯის მთავარი შედეგი–ამას ხვდება და აღიარებს მსოფლიო დამპყრობელი; მეორე მხრივ, იგი იძენს ზოგადეროვნულ დატვირთვასაც; ამ მაგალითზე იზრდება ქართველი კაცი მომავალ საუკუნეებშიც, მსგავს ნაბიჯებს ეფუძნება ზოგადად „ქართველობა“ ამით ცოტნე დადიანმა მისცა ზნეობრივი მაგალითი არა მარტო XII საუკუნის საქართველოს, არამედ ჩვენი ერის მომავალი „ზარტეხილობის“ ურთულეს პერიოდებსაც. მისმა გმირობამ გაალვივა ეროვნული თვითშეგნება და სააზროვნო სისტემა, რამაც საუკუნეებს გაუძლო და ქართული სახელმწიფო თავისი ხალხით დღემდე მოიყვანა.

დღეს, ქართველი ერი დამოუკიდებელ და თავისუფალ ახალ სახელმწიფოს აშენებს. ამდენად, ისტორიის გაკვეთილები კვლავინდებურად მოგვიწოდებს–ერმაც და ბერმაც თავისი სათქმელი გულშემატკივრულად თქვას და საკეთებელი შეუვალი სიმტკიცითა და ერთგულებით აკეთოს. დღესაც, წარსულის მსგავსად, ჩვენს შორისაა ხილვები დიდგორელთა და ცოტნეიდელთა აჩრდილებისა მოწოდებით–შემოვბრუნდეთ ღვთისკენ, გულშივე ავინთოთ რწმენის ლამპარი, კარგად გავისაზრისოთ, რანი ვიყავით, რანი გავხდით და რანი უნდა ვიყოთ მომავალში. მართლაც, თუ ჩვენვე არ ავინთეთ და დავიწვით საქართველოსთვის, ვინ გაანათოს სიბნელე? უნდა გაძლიერდეს ჩვენი ძალი და გონება, რწმენა და სათნოება, მოყვასისადმი თანადგომა და თავდადება, ეროვნული თვითშეგნება და თვითმყოფადობა.

ჩემი მოლოცვა მინდა დავამთავრო შოთა ნიშნიანიძის მიერ დატოვებული ანდერძით: „სამეგრელო არის ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობრობა, ცოტნე დადიანის რაინდობა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, იოსებ ჟორდანიას კეთილმოყვარეობა, ჟიული შარტავასა და სხვა მრავალთა გმირობა და ზნეობა!“

გილოცავთ!!!

***ნუგზარ ნადარაია,***
***სახალხო დღესასწაულ „ცოტნეობის“ დამფუძნებელი.***

## „მოდის, მოიჩქარის ცოტნე დადიანი“

ცოტნე დადიანი ჩემთვის არასოდეს ყოფილა საქართველოს ერთი კუთხის გმირი, ჩვენ ამიტომაც ვართ ორიგინალური ხალხი, ამიტომაც ვართ განუმეორებელი სულიერი კულტურის მატარებელი ხალხი, რომ გმირებიც საოცრად თვითმყოფადი და თავისებური გვყავს.

ცოტნე დადაინი ხმლის მქნეველი კაცი კი არ არის უბრალოდ, მხოლოდ მამულის სადარაჯოზე მდგომი კაცი კი არ არის, ზნეობრივი გმირია, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე. სამშვიდობოს გასული კაცი მობრუნდა და თავისი დასჯილი თანამოძმეების გვერდით დაჯდა, რითაც საოცარი ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინა დამსჯელებზე, ცოტნე დადიანი თავშეწირული კაცია, თავისი თავის შემწირველი. თავის თანამოძმეთა სასჯელის გამზიარებელი ცოტნე დადიანი საოცარი ფიზიკური გამძლეობის პიროვნებაა. მე მინდა იცოდეს ყველამ, რომ ცოტნე დადიანის გმირობა ასე ემპირიულად და სუსტად რომ არის დახატული ზოგიერთი პროზის თუ პოეზიის ოსტატის შემოქმედებაში. იგი სრულებითაც არ არის ოდენ თაფლის წასმა და მზეზე სატანჯველად დაჯდომა. თაფლის წასმით მზის ქვეშ წამება, ეს არის უძველესი ეგვიპტური და აზიური სასჯელი, რომელიც საშინელ ფიზიკურ გვემასთან და წამებასთან არის დაკავშირებული. არაბულ წყაროებში პირდაპირ მითითებულია, რომ თაფლის წასმის შემდეგ იჩეკებიან მატლები მწერებისაგან, რომლებიც მაშინვე იწყებენ სხეულის ჭამას და სამი დღის განმავლობაში საშინელი წამების შედეგად კვდება კაცი. მაგრამ, მონღოლთა ნოინს მარტო ეს სასჯელი არ აინტერესებდა, მან კარგად იცოდა, რომ ეს გამოტეხვის საშუალებაც იყო და როდესაც დაინახავდა კოხტასთავის შეთქმულთ მუხლებზე დაცემულს, პატიების მთხოვნელთ, ყველას თავს წააგდებინებდა.

ცოტნე დადიანის გმირობამ შოთა ნიშნიანიძის ლექსისა არ იყოს, ის სახედაღრეჯილი მონღოლი ნოინიც კი აიძულა ქართველი ერის გაუტეხელი ხასიათისთვის მოძმეთა, თანამოაზრეთა წინაშე ულალატობისათვის ჭეშმარიტი შემფასებლის თვალით შეეხედა, ასეთი გმირობა–მრავალგანტოლებადი, მრავალგანზომილებიანი, მსოფლიოში არც ერთ გმირს არ ჩაუდენია, რადგან ყველა გმირობა ერთ ასპექტში მჟღავნდება ხოლმე, აი, ამიტომ გიხაროდეთ ამ ბედნიერი კუთხის მცხოვრებო ქართველებო, რომ თქვენს შორის დაიბადა გმირი, რომელიც საქართველოს ნებისმიერ კუთხეში თავმოწონებით დადგებოდა და ყველა კუთხე–ქართლი, კახეთი, ფშავ-ხევსურეთი თუ სხვა მას თავის გმირად და თავის შვილად მიიღებდა.

ცოტნე დადიანის გმირობა საუკუნეების განმავლობაში აღზრდის თაობებს მამულის თავდადების ნიშნით.

***რევაზ მიშველაძე***

# „ცოტნეს ადგილის დედაა ხობი“



## რეალობა, მემკვიდრეობა და წარსულის მომავალი ხობში

როზეტა შულაია-ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

ნებისმიერი საგაზეთო პუბლიკაციის მომზადება უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან ამ დროს ესაუბრები მკითხველს, ამ დროს აყალიბებ და ასაბუთებ მრავალგზის ნაფიქრალს, იმაზე ფიქრით, თუ როგორ მიიღებს მას მკითხველი.

„ხობის მოამბის“ ეს ნომერი საეკლესიო- საერო დღესასწაულს „ცოტნეობას“ ეძღვნება.

ამიტომაც ნიშანდობლივია, რომ სასაუბრო თემა, „ცოტნეობისთვის“ მზადების პროცესში, ამ დიდებული დღესასწაულის მნიშვნელობით უნდა დავიწყო.

საქართველოს ისტორია, ალბათ, წარმოუდგენელია ცოტნე დადიანის თავდადების გარეშე. საქართველოს ისტორიის ფურცლებზე მრავალგზის აღბეჭდილა მამულიშვილთა სახელები, სიამაყით რომ ყვებიან მემატიანენი და თაობებს გადასცემენ ქართველთა ქედუხრელობის, სულიერი ამაღლების ამბებს.

ერთ-ერთი გამორჩეული ამ დიდებულ კრებულში სწორედ ცოტნე დადიანია. იშვიათია გმირი, რომელიც ჯერ ერის ზნეობრივ გმირად იქცა და საუკუნეთა შემდეგ წმიდანად შერაცხა დედაეკლესიამ.

ხობი ცოტნეობისთვის ემზადება. ამ პროცესში ჩართულია თითოეული ხობელი, ამიტომაც მოლოდინი ამ დღისა გარკვეულწილად ცვლის ხობელთა დღის რეჟიმს, უასკეცდება მონდომება, რომ ღირსეულად დახვდეს ხობში ჩამოსულ სტუმრებს, ერქვას ღირსეული მასპინძელი. ეს არის დღე, რომელიც ადუღაბებს ხელისუფლებას და რადგან ეროვნული ღირებულებების მხარდაჭერა ხელისუფლების უპირველესი მისიაა, ამ მისიას 12 აგვისტოს „ცოტნეობა“ და „დიდგორობა“ განამტკიცებს.

ხობში ცოტნე დადიანის ფრესკა ელოდება მლოცველს, ხობი, რომელიც 1923 წლამდე დედაღვთისმშობლის კვართის საბრძანისად მიიჩნეოდა, რომელსაც სხვა სიწმიდეებთან ერთად დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი, მეფე თამარის ჯვარი საუკუნეთა მანძილზე შემოუნახავს, რომელიც წმიდა ექვთიმესა და ხობელი ბერების რუდუნებით გადაურჩინეს ქრისტიანულ სამყაროს და საქართველოს ეს დიდებული სულიერი განძი. თავისთავად ძნელია, ერთ წერილში ჩაატიო, ის, რა მისიაც ამ პატარა ალაგს დაანათლა განგებამ.

კოლხეთის სამეფოს უკვე მითიურ ფერებში გადასული ისტორია, მისი ძირძველი კულტურა, საქართველოს სიამაყეა მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს თვალში, რადგან ერთ ერთი მძლავრი ფესვი, ბერმუხა-სამშობლო ქვეყნისა, სწორედ კოლხეთია, რომლის ძირძველ ნაშთებსაც ინახავს ხობი. საქორქიოს, თორსის, ხობის მონასტრის არქეოლოგიური გათხრები ყოველწლიურად ახალი აღმოჩენები, მიუთითებს იმაზე, რომ ეს მიწა, ჯერ კიდევ მოითხოვს შესწავლას, ყურადღებას, რომ კიდევ მრავალი აღმოჩენის მომსწრენი გავხდეთ.

ამიტომაც, დღეს, როდესაც სახელმწიფო მიმართულება და ნება ამ მხრივ გამოკვეთილია, როცა მუნიციპალიტეტს ეძლევა ნება, აირჩიოს მისთვის პრიორიტეტული მიმართულება, ხობში ეს მიმართულება სწორედ კულტურას, განათლებას, ძეგლთა დაცვას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შორის უძველეს სახეობათა აღდგენას და ახალგაზრდობის მეტი ინტენსივობით ჩართვას უნდა დაეთმოს. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ევროპულ სივრცეში ჩვენს ინტეგრირებაზე, ისე, როგორც ჩვენთვის საინტერესოა, ბერძნული ისტორია და კულტურა, ესპანურ- ბასკური ფესვები, გერმანელ ტომთა ერთობა ერთიან გერმანულ სახელწიფოში, ფრანგული, იტალიური, ბრიტანულ- შოტლანდიური, სლავური კულტურა ჩვენ, ჩვენი განსხვავებულობით, ჩვენი შარმით უნდა ვიყოთ საინტერესონი და არასოდეს ვთქვათ უარი ეროვნულ ბუნებრიობაზე, რადგან ყველაზე დიდი შეცდომა, როგორც ადამიანის, ასევე ერის, მაშინ იწყება, როცა ის უარს ამბობს საკუთარ თავზე და ხელოვნურობა ექცევა ცხოვრების ბუნებრივ წესად.. ამიტომ, ზუსტად უნდა გავწეროთ, როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ კულტურული მემკვიდრეობა, როგორ განვავითაროთ ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ მარშრუტებს არ მოიცავს, ეს არის უზარმაზარი სფერო, სადაც არქეოლოგიას, კულტურას, სპორტს, შეუძლია გაერთიანდეს და რაც შეიძლება მეტ ადამიანს, მეტი ქვეყნის წარმომადგენელს მოუყვეს ხობიდან საქართველოს შესახებ.

უკვე იწერება 2015- 21 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. ამ გეგმაში პრიორიტეტს, წარსულის მომავალზე ვაკეთებთ.

ჩვენ მაქსიმალურად ჩავრთავთ ამ გეგმაში ხობისწყლის ხეობის-შავი ზღვიდან დაწყებულ მარშრუტს, რომელი მარშრუტიც ხობისწყლის ზედა ზონაში, კერძოდ, ჩხოროწყუს მონაკვეთზე ძალიან აქტიურია. კოლხური ნაკრძალიდან ხობის მიმართულებით ტურისტული პოტენციალის მოზიდვა ნიშნავს იმას, რომ ტურისტულ მარშრუტებში ჩაერთვება არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობისა და შემდგომი ეტაპის უკვე სანახაობრივ მხარედ ქცეული შედეგი. ამიტომაცაა საჭირო, კონკრეტული არქეოლოგიური გათხრები, რომელთა შედეგები, არქეოლოგთა და დარგის სპეციალისტთა შორის დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს, ჩამოყალიბდეს, როგორც სამომავლო ტურისტული ობიექტი, როგორც წესი, არქეოლოგები, სამუშაო პროცესის დასრულების შემდეგ, ისევ ფარავენ კულტურულ შრეებს და მნახველისათვის ის უკვე ვერაფერს ჰყვება.

ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ერთობლივი სტრატეგია, ძეგლის ეგრეთწოდებული კონსერვაციისა, რომ იგივე „დიხაგიძუბები“ ანუ ძველი კოლხური საცხოვრისები, ვაქციოთ, ყველასთვის საინტერესო ობიექტად, სადაც შესაძლებელი იქნება, არა მხოლოდ ტურისტებს, ისტორიის საგაკვეთილო თუ სალექციო პროგრამისას. პედაგოგებს საშუალებას მისცემს, მომავალ თაობებს, ადგილზე გააცნონ მათი მიწა-წყალი რამდენ საუკუნოვან ისტორიას ინახავს.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში აუცილებელია ერთიან კომპლექსში მოექცეს მუზეუმები, რადგან ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მოპოვებული არქეოლოგიური მონაპოვარი, სათანადო პირობებითა და შესაბამისი ტექსტუალური ბაზით, დამთვალიერებელთა წინაშე წამოჩენილიქნეს.

რაც შეეხება ხობის კულტურის სახლის განახლებას, მისთვის ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოების აუცილებლობა, დაფინანსების წყაროთა მოძიება თაობების წინაშე ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა.

კულტურის სახლი თავისი მოცულობით ამ ეტაპზე არ არის ათვისებული, შენობის ფართობი და სტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა, აქ მოეწყოს კულტურის მუზეუმი. დიახ, ხობს უკვე აქვს სიმღერის მუზეუმი, რომელიც თავისთავად ჰყვება ძირძველ კუთხურ ფოლკლორზე, სადაც განთავსებულია სამეცნიერო შრომები სიმღერის გზის შესახებ, ფოლკლორის მოამაგეთა შესახებ, ხოლო თუკი კულტურის სახლში შეიქმნება დარბაზები, სადაც შესაძლებელი გახდება გაეცნოთ კულტურის მოყვარულთა თეატრისა და თეატრალური დასების თაობებს, იმ მოღვაწეებს, რომლებმაც თეატრის, ლიტერატურის, პოეზიის, მწერლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიტანეს. ასევე გახდება გზამკვლევი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებული კულტურული ობიექტების ანოტირების შესაძლებლობით, ვფიქრობთ, ეს



იქნება მნიშვნელოვანი კულტურული შენაძენი მუნიციპალიტეტისა და რეგიონისათვის.

ხობის მუნიციპალიტეტში 2015 წელი თედო სახოკიას წლად გამოცხადდება და მას საფუძველი 2014 წლის სექტემბრიდან ჩაეყრება. არის დაუწერელი თუ დაწერილი ვალდებულება, რომ მწერალს, მთარგმნელს, ეთნოგრაფსა და ლექსიკოგრაფს მიეგოს ის ღირსეული პატივი, რასაც ის მშობლიური რაიონისგან იმსახურებს. შესამუშავებელია პროექტი, რომლის მიხედვით აღდგენილ იქნება ამ დიდებული ქართველის სახლ-მუზეუმი, ხოლო მისი სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკაში ჩატარდება მისი ნაშრომების, შესწავლა და განხილვა. მთავარია, ახალი თაობა მივიდეს წიგნებთან და წიგნიერება თავად არასოდეს დაიკარგავს თავს.

განსაკუთრებით კუთხური ფოლკლორის გააქტიურებას ვგეგმავთ, უძველესი ადათ- ჩვევების უკვე თანამედროვე მოთხოვნების დაქვემდებარებაზე, ეს ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს, მაგრამ ძველი, არქაული ტრადიციის პირდაპირი გადმოტანა ახალ დროში, შეუძლებელია და არცაა საჭირო, უბრალოდ, ჩვენ უნდა შევძლოთ მისი პირველსახის შენარჩუნება, იმ სახით, რომ ზუსტი განსხვავება ვიცოდეთ წარსულსა და თანამედროვეობას შორის, ეს ისტორიული ანალიზის საფუძველია და მოგვცემს საშუალებას ჩვენი კუთხით შევხედოთ მომავალს და მომავალში ჩვენი ადგილი სწორედ წარსულის საუკეთესო ნაწილით დავიმკვიდროთ.

არსებობს აზრი, რომ ტრადიცია -უკვე ბევრს ეროვნული სახის ბუტაფორიად მიაჩნია. ასე ფიქრობენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებიც, მაგრამ ამგვარი აზროვნება, მცდარია, თუნდაც ბუტაფორიულად მისი გამოყენება თანამედროვეობაში, ეს უკვე სულის გამოძახილია, რომელზედაც არასოდეს უნდა ვთქვათ უარი, რადგან კულტურული გენესიზი, სწორედ ამ მიდგომით იწყება და არა დავიწყებითა და წარსულის ღირებულებათა იგნორირებით. ხობი ამ მხრივაც გამორჩეულია, „ქართული (მეგრული) ხალხური სიმღერის ფესტივალი“, რომლის პოპულარობა უკვე გასცდა საქართველოს ფარგლებს, ჩვენთვის მრავლისმომცველია და გვაგრძნობინებს შინაგან ვალდებულებას,-ღირსეულად ვატაროთ ფესტივალის სახელი.



ისევ „ცოტნეობას“ დავუბრუნდები. დღესასწაულის ფარგლებში სპორტულ სანახაობებზე, ტურნირებზე, ფოლკლორისა და სპორტის სახეობების ურთიერთშერწყმაზე აქცენტი მიზანმიმართულად კეთდება, რადგან დიდგორი სულიერად და ფიზიკურად ძლიერმა ერმა მოიგო, ცოტნე დადიანი„ კაცი მხნე და სულიერი“, სწორედ ჯანსაღი სხეულისა და სულის ერთობით ცხოვრობდა. ამიტომ ამ გადასახედიდან უფრო ადვილია ჩვენთვის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების აქტივიზირება, რადგან ხელშეკრულების მე-19 თავი ითვალისწინებს თანამშრომლობას სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში, მოიცავს ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას. ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სოციალური და საგანმანათლებლო ფასეულობების განვი-

»»»»» 5

# „ცოტნეს ადგილის დედაა ხობი“

## რეალობა, მემკვიდრეობა და წარსულის მომავალი ხობში

**როზეტა შულაია-ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.**

4

თარებას. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ევროპული გამოცდილების გადმოტანას, ჩვენის მხრიდან ჩვენი ძირძველი სპორტული სახეობების,,ლელობურთის“, ცხენბურთის“ „მარულას“ ევროპულ და არა მხოლოდ ევროპულ არენაზე გატანას. ხობის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ,,ლელობურთის“ განვითარებას, რომელიც თავისთავად შეიძლება თანამედროვე რაგბის ფუძეთამაშად ჩაითვალოს. ცოტნეობის დღესასწაულზე, სწორედ ხობელი ლელოს მოთამაშეები შეერკინებიან ერთმანეთს. ხობელი მოჭიდავეების სახელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მრავალგზის გაისმა და ისინი, ,,ცოტნეობის“ დღესასწაულზე, თავიანთ გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ, მძლეოსნებთან, მკლავჭიდელებთან, ფეხბურთელებთან, რაგბისტებთან, მოჭადრაკეებთან ერთად წარუდგებიან.

,,ცოტნეობის“ დღესასწაულისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო საინტერესო გადაწყვეტილება, რომელიც ,,ცოტნეობის“ დღესასწაულზე გაჟღერდება, ამიტომაც, ამ წერილში არ ვახმოვანებ. ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობა წლის ბოლოს ყველა წარმატებულ სპორტსმენს ფულადი საჩუქრით აჯილდოებს.

სტატეგიული განვითარების გეგმაში ,,ცხენბურთის“ განვითარებისთვის საჭირო საკითხებზე სრული განწერა მოხდება. რაც შეეხება ტრადიციულ და უკვე დავიწყებისთვის განწირულ „მალანურობას“, რომელიც მხოლოდ ხობში, ბიის მთავარანგელოზთა ეკლესიაში ტარდებოდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ლიტერატურამ და ხალხის მეხსიერებამ შემოინახა.

ცნობილია, რომ სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია სტუმრობდა სოფელ ბიას და ბიელი ქალბატონის აღწერილი ,,მალანურობა“ გადაიტანა თავის ნაწარმოებში ,,მთვარის მოტაცება“. თუმც სიუჟეტი ოქუმში განავითარა, რაც ჩემის აზრით, იმ დროისთვის სწორად გათვლილი სტრატეგია იყო მწერლისა, რომ ხაზი გაესვა ქართულ აფხაზური ფუძეობისთვის.

ამიტომაც, ხობში აუცილებლად აღსდგება ეს უძველესი ტრადიციული სანახაობა, რომელიც თავისთავად მოიცავს, რელიგიურ, სანახაობრივ, სპორტულ ელემენტებს და ვფიქრობთ, ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ინტერსს გამოიწვევს, საქართველოს სხვადახვა კუთხეებიდან ,,მალანურებს“ მოიზიდავს და ამასთანავე ტურისტებისთვის საინტერესო სრულიად ახალ პროდუქტად ჩამოყალიბდება.

ერთ საგაზეთო სივრცეში შეუძლებელია დაწვრილებით მოვყვეთ ჩვენს სტრატეგიულ გეგმაზე, მაგრამ, ის, რომ ჩვენ ფუნდამენტურად შევცვლით დამოკიდებულებას სპორტის მიმართ, აქცენტს გავაკეთებთ სოციალურად დაუცველი ბავშვების, ახალგაზრდების ჩართულობაზე, ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენაზე, მათი შესაძლებლობების ძიებაზე, კულტურისა და განათლების სფეროში შედეგზე ორიენტირებული პროექტების შემუშავება- განხორციელებაზე, ეს უკვე ის, ძირეულად დასახული მიზანია, რომლის შესრულება მომავალი თაობის სწორად აღზრდას და ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს.

ჩვენი სამოქმედო სფერო სპეციფიური და საინტერესოა, ყველა ნიუანსის გათვალისწინებით აუცილებლად საკუთარ სიტყვას ვიტყვით, საუკეთესო გამოცდილებას გავიზიარებთ, მუდმივად ვიქნებით მზად ნოვაციურ ინიციატივებზე მყისიერი რეაგირების უნარით, რომ შევიმუშაოთ ახალი პროექტები. წარსულს საინტერესო და ღირსეულ მომავალს ასე შევუქმნით!

***კიდევ ერთხელ გილოცავთ ,,ცოტნეობას“.***



## „ცოტნეობა“—დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის!

სამეგრელოს ყოველთვის ეკავა ღირსეული ადგილი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. დღესაც მნიშვნელოვანია ამ მხარის ილიასეული შეფასება. რომ არა ქუჯისა და ფარნავაზის ერთობა, რომ არა გიორგი ჭყონდიდელის და დავით აღმაშენებლის ერთიანობა გარეშე მტრების წინააღმდეგ, დღეს საქართველო არ იარსებებდა.

მამულისთვის თავგანწირულთა კოჰორტაში ღირსეული ადგილი უჭირავს ზნეობრივ გმირს - ცოტნე დადიანს, რომლის მსგავსი იშვიათად თუ მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში.

როგორც ცნობილია 1242 წლიდან საქართველო მონღოლეთის მოხარკე ქვეყნად იქცა. 50 ათასი პერპერა ოქროს ფული უნდა ეხადა ყოველწლიურად და დამხმარე ლაშქარიც მიეწოდებინა, რაც წელში წყვეტდა ქვეყანას. მეფე რუსუდანი ისე გარდაიცვალა, მემკვიდრის ტახტზე აყვანა ვერ მოასწრო. უმეფობის ხანით ისარგებლეს მტრებმა, ქვეყნის ბედზე დაფიქრებული მამულიშვილების ჯავახეთში, კოხტასთავს შეიკრიბნენ საქართველოს ყველა კუთხიდან და გამართეს მსჯელობა ქვეყნის გადარჩენის შესახებ. ცოტნე დადიანმა, რომელსაც რაჭის მთავართან ერთად „ყოველი იმერის სამეფო“ ემორჩილებოდა, ადრე დატოვა შეკრება და შემდგომ დათქმულ ადგილზე თავისი მეომრებით გამოცხადდა, თუმცა, გაიგო რომ მთავრები მონღოლებს შეეპყროთ და ანისში დიდ მოედანზე ბორკილდადებულები, შიშველ ტანზე თაფლწასმულები მზეზე იტანჯებოდნენ, უიარაღო ცოტნეც იქით გაემართა და თანამებრძოლებს მკერდშიშველი შეუერთდა, გაოცებულ მონღოლებს კი უთხრა, რომ ჩვენ კოხტასთავს იმიტომ შევიკრიბეთ, თქვენი ხარკის ამბავი მოგვეგვარებინაო და თუ ამისთვის ჩემი მეგობრები სასჯელს იმსახურებენ, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო. მონღოლებმაც კი დააფასეს თავგანწირვა, არადა შეეძლო თავისთვის ყოფილიყო და მტრის გული მოეგო.

ცოტნე დადიანის გმირობა ეპოქამ შემოინახა–სათნო, საკვირველი და საარაკო. ეს გმირობა ახალ თაობებს მხნეობას მატებს და სამშობლოსათვის საბრძოლველად განაწყობს.

საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომამ 1999 წლის 26 ოქტომბერს ცოტნე დადიანი ერის და ეკლესიის წინაშე თავდადებული მოღვაწეობისთვის ვითარცა „დამდებელი სულისა თვისისა და აღმსარებელი ცნებისა უფლისა“ წმიდანად შერაცხა და ეწოდა საქართველოს თავდადებული აღმსარებელი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ცოტნე დადიანის და გიორგი ჭყონდიდელის წმიდანებად აღიარებაში, როგორც ინიციატორს და თაოსანს, უდიდესი წვლილი მიუძღვის „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტს ბ-ნ ნუგზარ ნადარაიას, რომლის ინიციატივით, მოგვიანებით, ფოთში, სამეგრელოს მოედანზე, დაიდგა გამოჩენილი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის ცხენზე ამხედრებული ცოტნე დადიანის ბრწყინვალე მონუმენტი, წმინდანს მხარს ჩაფრენილი არწივი ზეცისკენ ექაჩება.


„ცოტნეობა“ 1989 წელი

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბატონ ნუგზარს, როგორც წლების განმავლობაში ხობის რაიონის თავკაცს უდიდესი წვლილი მიუძღვის მისი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში, თუმცა, არანაკლები წვლილი მიუძღვის ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისა და სულიერების აღორძინებაში, ეკლესია-მონასტრების შეკეთება-რესტავრაციაში. მისი მონდომებითა და ხობელთა თანადგომით, ცოტნე აღმსარებლის დღე 12 აგვისტო „ცოტნეობის“ საერთო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა და ამ ტრადიციას შემდგომი განვითარება და გაღრმავება სჭირდება. არ უნდა დაგვავიწყდეს ერი, რომელიც პატივს არ მიაგებს წარსულს, ღირსეულთ, კვდება. ფაზისის აკადემიის უცვლელი ორიენტირიც სწორედ ესაა–წარსულისა და თანამედროვეობის თანაარსებობით გზის გაკვლევა უკეთესი მერმისისაკენ, ისტორიის ლაბირინთებიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის უცნობი, იდუმალებით მოცული საუკუნეების, პიროვნებათა ღვაწლის სამზეოზე გამოტანა.

კოლხური ცივილიზაცია მითოლოგიური და რეალური ასპექტით მსოფლიოს ისტორიის სათავეებთან დგას და მისი საწყისიდან მომდინარეობს. რა უნდა იყოს იმაზე დიდი საქმე შთამომავლობას გადასცე სულიერ საგზლად დიდი მომავლის გზაზე, წარსულის გმირების უკვდავი სახება. დედაისტორია ერის თვითმყოფადობის უპირველესი ნიშანია, და იგი რწმენას, უფალს უკავშირდება, და თუ ეს საძირკველი გამოგვეცალა, ჩვენს ეროვნულობას გლობალიზაციის მორევში გაქრობა ელოდება. საბედნიეროდ, შემოგვრჩნენ მამულიშვილები, რომლებიც სამშობლოს მიღმა აბსტრაქტულად კი არ ცხოვრობენ, რეალურად უხსოვარი დროიდან ქართული სახელმწიფოებრიობის სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა წარმოსაჩენად მოქმედებენ.

სამეგრელოს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცება-გადარჩენაში. ჩვენ გვეამაყება ამ კუთხის ისტორიული ნიშანსვეტები-ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, ფარნავაზთან ერთად ქვეყნის ხსნის საქმეში. დავით აღმაშენებლის აღმზრდელის, გიორგი ჭყონდიდელიბედიას ღვაწლი. რომ არა იგი, როგორც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა, დღეს საქართველო არ იქნებოდა. საუკუნეებს შემორჩება ცოტნე დადიანის გასაოცარი ზნეობრივი გმირობა და თუ თანამედროვეობასაც ჩავრთავათ, ჟიული შარტავას გმირობა და თავდადება უკვდავია.

საერო და საეკლესიო ღონისძიებები ერთ საქმეს უნდა ემსახურებოდეს–ერის სულიერ გაერთიანებას. დიდებული ტრადიცია დამკვიდრდა ღვთისმშობლის ყოვლადწმიდა ხარების დედათა მონასტერში ცოტნე აღმსარებლის სადიდებელი ლიტურგიის ჩატარება, დიდი ლიტერატურულ-თეატრალიზებული სანახაობების მოწყობა ქალაქის ცენტრში, ხეთის თეატრონში. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები საქართველოს ყველა კუთხიდან, აღსანიშნავია, რომ იგი ემთხვევა სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო დღესასწაულს ,,დიდგორობას“. ეს დიდი ნიშანსვეტია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სულიერი ერთობისა და გლობალიზაციის ეპოქაში, ეროვნული ცნობიერების გაღვივების საუკეთესო საშუალებაა.

დღესასწაული ასევე საუკეთესო პირობებს ქმნის უნიკალური მეგრული ფოლკლორის წარმოჩენისთვის. აქ ხშირად გამართულა დიდი კონცერტები, სადაც ხალხური ანსამბლების შესრულებით მოგვისმენია ბრწყინვალე სიმღერები ,,ნანა“, ,,ოდოია“, ,,კუჩხი ბედინერი“ და სხვა უამრავი როგორც კოლხი კაცის სულის უკვდავების გამოხატულება.

სწორედ დღეს გვჭირდება ცოტნესნაირები, ქვეყნისთვის, მეგობრისთვის თავგანწირულები და არა გამყიდველები.

ქართველთათვის სიცოცხლე და თავისუფლება ერთია. ერთადერთი რაც ვერ წაგვართვეს, ესაა სიცოცხლისა და თავისუფლების წყურვილი, ეს სულისკვეთებაა განივთებული საერო-საეკლესიო დღესასწაულში, რომელსაც ხალხი მართავს.

გილოცავთ „ცოტნეობას“–საქართველოს რწმენისა და ერთიანობის სიმბოლოს.

***ანგული მიქავა***

# 8 აგვისტო—ჩვენი ტკივილი, რწმენა, იმედი...



გოგა ბერაია



გოგა ქითანავა



დათა ხურცილავა



ლევან ქოჩუა



მიხეილ იოსავა

## 8 აგვისტოს დაღუპულთა მემორიალთან...



8 აგვისტოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და ხობის საზოგადოებამ, აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ხობელი გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას, მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა მამა იაკობმა.

8 აგვისტოს დაღუპულთა პატივის მისაგებად სიტყვით გამოვიდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია,.

ხობელ გმირებზე საკუთარი ლექსი წაიკითხა ქალბატონმა მერი აბრამიამ.

მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება საღამოს 21:00 საათზე ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სანთლების აქციით და 8 აგვისტოსთან დაკავშირებული ვიდეომასალის ჩვენებით დასრულდა.



## „ლაჩრულ ცხოვრებას თქვენ მუდამ გმობდით, თქვენს ამ სიკვდილსაც სიცოცხლე ჰქვიან!“

დადგა აგვისტო და ტკივილმა იმატა... დრომ განაახლა იგი... ფიქრმა წარსულში მატარა... მაინც საიდან მოდიოდა ქართველთა ის ენერგია, რომელიც აკვნიდანვე სამშობლოს სიყვარულით მუხტავდა ქართველებს, გრძნობით, რომლითაც საკუთარი სიცოცხლეც კი გეპატარავება მის სანაცვლოდ. სწორედ ეს ჰქმნა „იავნანამ“, ძალამ, რომელმაც დედას შვილი აპოვნინა, შვილს კი სამშობლო... ძალამ, რომელმაც შვა ქართველი გმირები, მათი რიცხვი ხომ ულევია?! სწორედ „იავნანიდან“ იწყება სამშობლოს სიყვარულის ნიჭი და უძლეველობა, რომელმაც სამშობლოსთვის სიცოცხლის გასაწირად უბიძგა ხობელ ვაჟკაცებს. ამ ავადმოსაგონარ დღეს მინდა კიდევ ერთხელ მოვეფერო მათ და ვუთხრა, რომ ყველა ისინი გულში ხატად, ჩვენს სალოცავად და სიამაყედ, ჩვენს რწმენად და იმედად გვისვენია, რომ „კიდევაც დაიზრდებიან...“

„გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიანო“–უთქვამთ. ჭეშმარიტად! თანამედროვეობაც ხომ ყოველდღე ბადებს მათ... ზოგი თავისი ქმედებით სიცოცხლეს სწირავს და ემშვიდობება ქვეყანას, ზოგი კი სიცოცხლეს ილამაზებს...

თქვენი სიცოცხლე მარადიულია, ბიჭებო!

თქვენ ხართ იმედი და რწმენა იმისა, რომ თქვენი სიცოცხლე თითოეულ ჩვენთაგანში, მომავალი თაობების ძარღვებშია, თქვენ ის ახალგაზრდები ხართ, ვინც ცოცხლებს ძალას გვმატებს, გვასწავლის, როგორ გვიყვარდეს, მტერი მოყვასისგან როგორ გავარჩიოთ... ასეთები ცოტანი არ არიან!

აგვისტო ტკივილიანია ხობელებისთვის თითქოს წამიც არ გასულაო... შვიდი სევდიანი წელი გაწელილა იმ ტრაგედიიდან. 2008 წლის 8 აგვისტოს ღამეს ხობელთა წილ

»»»»»»»»»» 7

## მაინც რა არის სამშობლო?

**8 აგვისტოს გმირების ხსოვნის დღეს საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეხმო სულმნათი ნოდარ დუმბაძისთვის, რათა მომავალ თაობას კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რა არის სამშობლო, ვისი „გორისანი ვართ“...**

სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია. ახლა აღარ მახსოვს კარგად, რომელ კლასში ვიყავი, მეოთხეში თუ მეხუთეში:

–დუმბაძე ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო,– ამაყენა ქართულის მასწავლებელმა.

–სამშობლო. სამშობლოა ადგილი, სადაც დავიბადე და...

–კიდევ?—ჩამეკითხა მასწავლებელი.

ძალიან დიდხანს ვიფიქრე.

–დაჯექი დუმბაძე, მითხრა მასწავლებელმა, პასუხი რომ აღარ ვაღირსე.

–არ დამიწეროთ, მასწავლებელო ორი. ვიცი და ვერ ვამბობ, –შევეხვეწე მე და ტირილი დავიწყე...

* * *

სამშობლო ისეთი უსაშველო ფენომენია, რომელსაც ასაკი არ გააჩნია, ისევე, როგორც დედას, და დედასავით მარადიულია. გამოდის, რომ სამშობლო ყოველდღე გვბადებს, ყოველდღე იბადება ჩვენთვის, თავად კი არასოდეს არ კვდება, უკვდავია.

* * *

მაინც რა არის სამშობლო?

იქნებ რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია, „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა!“ მაშ, იმხელა ლექსი რაღად დაწერა? ეს ორი სტრიქონი დასკვნაა მხოლოდ თუ ფორმულა? ან იქნებ აკაკის „განთიადია“ სამშობლო? ან ვაჟას სიმღერაა–„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება!“ ვფიქრობ, სამშობლო დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ არის, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახი,“ პაატა საკაძეა, ქეთევანის დაშანთული მკერდი, თამარის გვირგვინი და „ვეფხისტყაოსანია...“ იქნებ ვაზია სამშობლო? ამა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლარია—ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს.



რაც მე მახსოვს და ვიცი, სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული.

კიდევ რა არის სამშობლო? თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედავ, კავკასიონის უზარმაზარ თეთრ ფაფარს რომ დაინახავ და ყელში ბურთი გაგეჩხირება—ეს არის სამშობლო. კიდევ?

* * *

თბილისის პატარა უბანი, დილიდან საღამომდე რომ ვერ გახვალ ქუჩის ბოლომდე, იმდენი მეგობარი შეგხვდება, მოგიკითხავს და მოგეალერსება.

კიდევ რა?—სოფელი, სადაც ცოლს ვერ შეირთავ, რადგან ყველა გოგო შენი დობილია და საპატარძლოს საპოვნელად იძულებული ხარ, სხვა სოფელში წახვიდე... როგორც ჩანს, სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.

–მეგობარო, გაჩერდით ერთი წუთით, რა არის სამშობლო?—ვაჩერებ ქუჩაში გამვლელს.

–მე მეკითხებით?—მეუბნება განცვიფრებული გამვლელი.

–დიახ, თქვენ, იქნებ არ იცით?

–როგორ არ ვიცი, მაგრამ ასე უცებ, დაუფიქრებლად, ქუჩაში...

–დიახ, ასე უცებ, დაუფიქრებლად, ქუჩაში...

– ასე უცბად, დაუფიქრებლად, ქუჩაში სამშობლოსთვის სიკვდილი შეიძლება, მაგრამ იმის თქმა, თუ რა არის სამშობლო, არ შეიძლება ბატონო, – მპასუხობს ის და ჩქარი ნაბიჯით მცილდება...

# 8 აგვისტო—ჩვენი ტკივილი, რწმენა, იმედი...

ახლა აგვისტოა–ზაფხულის ბოლო თვე.

საქართველოსთვის მაინც განსაკუთრებული. ყოველ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი და დიადი, ვიდრე მხოლოდ შემოდგომასთან გადებული ხიდი.

სწორედ აგვისტოში გაიელვა წლების განმავლობაში ტყვიისფერი ღრუბლებით დამძიმებულ საქართველოს ცაზე ხანმოკლე ნათებამ. ეს ნათელი ცოტნე დადიანის გმირობა იყო, რომელმაც ზნეობრივად უფრო განამაღლა ქართველი ერი.

ცოტნეს და მისი თანამოაზრეების მიზანი დიდი იყო, მაგრამ სურვილმა მარტო არ იკმარა, უბრალოდ მან ერთხელ კიდევ გამოავლინა ქართველთა უტეხი სულის მორიგი აღზევება და იგი დიდებულ მაგალითად დარჩა შთამომავლობას. ახლა ეს ყველაფერი წარსულის კუთვნილებაა და მას კიდევ ერთხელ იმიტომ ვიხსენებთ (და გაიხსენებენ მომავალშიც), რომ ჩვენმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ ერი უწარსულოდ ვერ იარსებებს. თითოეულმა უნდა იცოდეს თავისი გუშინდელი დღე, რათა იამაყოს და განავრცოს წინაპართა საგმირო საქმეები, რომლებიც სამშობლოს, მის თავისუფლებასთანაა დაკავშირებული. მან უნდა გაითვალისწინოს ერის სურვილები, ერის ისტორია და მისი განვითარების რეალური პერსპექტივები.

## ერი უწარსულოდ ვერ იარსებებს

ხალხის ისტორიული მეხსიერება განსაკუთრებით მძაფრდება მაშინ, როცა საზოგადოებას გარდამტეხი ეტაპი უდგება. ასე იყო ცოტნე დადიანის დროს, ასე იყო 2008 წლის აგვისტოში. თუ 1245-47 წლებში საქართველოს მონღოლები მტრობდნენ, ბოლო საუკუნეებში „შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას, მოყვრულადა გვმტრობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას“ (გრ. ორბელიანი)

ერი, რომელიც გამუდმებით მშვიდობისკენ ისწრაფვის და რომელმაც სანუკვარად მიიჩნია „დილა მშვიდობისა“, დღიდან გაჩენისა ბორგავს, არ მშვიდდება და ალბათ, მალე არც დამშვიდდება.

საქართველო ეძებს ხსნის გზას და ამ გზაზე სანთლებივით იწვიან ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები. ეს იყო გმირი ცოტნე დადიანი, ქუჯი ერისთავი, დიდი ჭყონდიდელი, მამულისთვის ზვარაკად შეწირული ჩვენი თაობის ადამიანები, რომლებიც 9 აპრილის გმირებად მონათლა ქართველმა ხალხმა, ჯერ კიდევ ფეთქავს აგვისტოს ომის გმირთა გულები... დათა, გოგა, ზვიადი, გოგა, მიხეილი, ლევანი, გოგიტა, ლევანი, რამაზი. რომლებიც ცოტნე დადიანის გენის მატარებელნი არიან. ამ გმირების სულისკვეთებაშია ამაღლებული განწყობები, ესენი არიან ჩვენი წარსული და ისტორია, დიდ წინაპართა საქმის განგრძობა, რომელიც ყველა ქართველს სულსა გულში კოდად უდევს.

„წამი გმირულად
სიკვდილის–
დაბადების დღის კოდია“
ვაჟა ეგრისელი

**მანანა შულაია.**



**გოგიტა ქარჩავა**



**ზვიად დათუაშვილი**



**ლევან ტურავა**



**რამაზ კიტია**

# „ლაჩრულ ცხოვრებას თქვენ მუდამ გმობდით, თქვენს ამ სიკვდილსაც სიცოცხლე ჰქვიან!“

ნ

ზეცას შავი ყორანი დასჩხაოდა, უცებ თითქოს გაიელვაო, განათდა ზეცა და ამ შუქმა მოიტაცა თქვენი სხეულის სილამაზე, სიცოცხლემ კი მარადისობაში გადაინაცვლა.

სამსახურში მიმავალი ყოველ დილით ხობის ხიდს გადმოსული, თვალს ვავლებ მემორიალს: გესალმებით, რწმენას და იმედს მმატებს თქვენი სახელ-გვარი, ბიჭებო! რადგან მჯერა ხვალ და ზეგ თუკი მამული მოუხმობს, ასჯერ ასი გვეყოლება დათა, გოგა, ზვიადი, გოგა, მიხეილი, ლევანი, გოგიტა, ლევანი, რამაზი. სამშობლოს საკურთხეველზე სიცოცხლის დამდები.

თქვენ ხომ ასაკით პატარები ხართ, ზოგი არც მენახეთ, ხომ არ გაგიკვირდებათ ჩემი გულწრფელი სიტყვები! მიყვარხართ, ქედს ვიხრი თქვენს წინაშე და უფალს ვევედრები, ნათელში გამყოფოთ...

ქალაქის ცენტრში, ეკლესიის გვერდით აღმართულ მემორიალზე ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული გმირთა გვარსახელები: გოგა ჭითანავა, დათა ხურცილავა, გოგა ბერაია, ზვიად დათუაშვილი, მიხეილ იოსავა, ლევან ტურავა, ლევან ჭოჭუა, გოგიტა ქარჩავა, რამაზ კიტია. ისინი გვაფრთხილებენ, –გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს სამშობლო, რადგან ისე არაფერი ამშვენებს ერს, როგორც სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება! კიდევ ერთხელ მახსენებენ, რომ „სამშობლო ტაძარია სალოცავი, მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან...“

**მერი ლაგვილავა**

# წარსული დღეების ექო...

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ხშირად იდგა არჩევანის ჟამი, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული, თუ რა გზას აირჩევდა თითოეული ქართველი: მიეყიდებოდა მტერს, თუ დაუპირისპირდებოდა. მრავალჯერ დაუშვია შეცდომა ზოგიერთ ვაიქართველს, რომელთა სახელები შავ ლაქადაა ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის მატიანეში, ამავე დროს შარავანდედითაა მოსილი ერისათვის თავდადებული გმირები.

დასაბამიდან დღემდე ეროვნული ხელისუფლების დამხობის, ქვეყნიდან გაძევების ან მოტყუების მიზეზი ყოველთვის იყო რუსეთის იმპერია, რომელიც დედამიწის მეექვსედს აკონტროლებდა. საბედნიეროდ, ბევრმა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომაც თავი დააღწია ამ იმპერიულ უღელს, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე არიან ადამიანები, რომელთაც რუსეთის „კეთილ იმპერიასთან“ ფლირტი არ დაუსრულებიათ და მათი მეშვეობით ხელს აფათურებენ ქვეყნის შიდა თუ გარე საქმეებში. თავის დროზე ასეთ ადამიანებს ზვიად გამსახურდიამ „წითელი ინტელიგენცია“ უწოდა.



მე დღეს ამაყი ვარ, რადგან ბაბუაჩემი მაკარ კორტავა, როგორც ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის წევრი, იმ დროს ციმბირში გადაასახლეს... მე მისი შთამომავალი, მონაწილე ვიყავი 1988–89 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა... ვიდექი და ვდგავარ იმათ გვერდით, ვისაც სისხლი უდუღს ძარღვში, ვისაც ღირსების განცდა აქვს. თვალწინ მიდგას ის წლები, თუ როგორ დაირაზმა ქართველი ხალხი ეროვნული გმირების–მერაბისა და ზვიადის გარშემო. დღესაც ყურში ჩამესმის უსინათლო დედა-შვილის მიერ ლადო ასათიანის ლექსზე შესრულებული სიმღერის ხმა

*„დაუკარით, ჯერ ხომ სისხლი*
*გვიდუღს ძარღვში,*
*ჯერ ხომ საროს ფოთლები*
*არ გასცვენია,*
*ჯერ ხომ მცხეთის*
*სვეტიცხოვლის დიდ*
*ტაძარში*
*საქართველოს ცხელი გული*
*ასვენია.“*

...მაგრამ მტერს არ ეძინა... დაემხო ეროვნული ხელისუფლება. 9 აპრილის ტრაგედიას მოჰყვა ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი, რასაც ხობის საამაყო შვილის თენგიზ ქაჯაიას სიცოცხლე შეეწირა. (ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გავახმოვანო სურვილი, ხობში 9 აპრილის მემორიალთან დაიდგას თენგიზ ქაჯაიას ბიუსტი, ეს არამარტო ჩემი იდეაა, არამედ ხობის საზოგადოების უმეტესი ნაწილის სურვილი).

2008 წლის აგვისტო...

პირტიტველა ბიჭები...

ჩვენი სისხლი და ხორცი... მათ შორის არის გოგა ბერაია ჩემი გვარის სიამაყე, ტკივილი, სევდა, მოუშუშებელი იარა, მაგრამ, გმირი...

მადლობა უფალს! ამ ქვეყნად მუდმივი არაფერია „ქვეყნად უცვლელი მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ცვალებადია“. შევაქციოთ ეშმაკს ზურგი, ხმა ავიმაღლოთ, ვთქვით სიმართლე და ერის მრავალსაუკუნოვან ოცნებათა ჭიდილში ვიბრძოლოთ სამშობლოს გადასარჩენად. სამშობლოა ბაგრატი, ვარძია... მერაბი, ზვიადი... გოგა, ზვიადი, დათა, მიშიკო... და მე ვარ მათი ერთ-ერთი გულდათუთქული ჭირისუფალი.

**ნაირა ბერაია.**

# „ცოტნეს ადგილის დედაა ხობი“



## თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ოცნებაში

კოხტასთავის შეთქმულების შესახებ მწირი ისტორიული ცნობები მოგვეპოვება, ვინაიდან მე-13 საუკუნის თითქმის ყველა საისტორიო თხზულებები დაკარგულია. იტალიელი მისიონერის პლანო კარპინის მიხედვით შეთქმულება საქართველოში სწორედ უმეფობის დროს უნდა მომხდარიყო, 1247 წელს, როდესაც მას საქართველოს ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპრი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელი გამრეკელი, სარგის მთოგველი, მესხნი“ ესენი იყვნენ სამშობლოს მონობით შეწუხებული იმ დროინდელი საქართველოს დიდებულები, წარჩინებულები, რომელთა მიზანი ქვეყნის თავისუფლება იყო. მემატიანე დამაჯერებლად მიმოიხილავს შეკრებილთა ჩივილს „რაი ვყოთ, არღარა ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ვბრძოდეთ თათართა“, ჩვენ კი შეთანხმებულსა და გაერთიანებული ძალით ბრძოლას არ ვაწარმოებთ და ერთმანეთისგან „განდგომილ ვართ“, ისინი ჩვენი დაქსაქსულობით სარგებლობენ და აჯანყებისათვის მზადყოფნაზე აქვს ცნობა მოყვანილი, მის ცნობაში ვკითხულობთ, რომ მონღოლები მოშორებით მცხოვრებ ერებს, რომელნიც ამასთანავე მათ მაინცდამაინც არაფრად აგდებენ, რბილად ეპყრობიან და მარტო ხარკის აღებით კმაყოფილდებიან. მაგალითად, ქართველებისგან მარტო ხარკს კრეფენ, მაგრამ მაინც შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ქართველები ლამის არის აჯანყდნენო. ეს ცნობა ორი თვალსაზრისით არის საყურადღებო. ერთის მხრივ, რომ პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება მონღოლთა ყაენის ქალაქშიც იცოდნენ. ცნობა იმის შესახებ, რომ მიუხედავად მონღოლების მხრიდან რბილად და თავაზიანად მოპყრობისა, საქართველო ასაჯანყებლად მზად არისო, გვამცნობს რომ „ასაჯანყებლად ნიადაგი დიდი ხანია მზად ყოფილა და ქართველებისთვის, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოს ძლიერების ხანა თავისი თვალით ნანახი ჰქონდათ და არაერთი ჰყავდათ ყმადნაფიცად. მონღოლთა ბატონობის



მსუბუქი უღელის ატანა, რასაკვირველია, არაფერი სასიამოვნო იქნებოდა და ისინი უეჭველია სულ მუდამ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ოცნებაში იქნებოდნენ და ყოფილან კიდეც.“–(ივ. ჯავახიშვილი ტომი-III გვ.138–140).

ჟამთააღმწერელის მიხედვითაც კოხტასთავის შეთქმულება 1246-1247 წელს უნდა მომხდარიყო. მეზობელთა გახშირებული იერიშებისა და „ამით შფოთთა“ დროს საქართველოს მმართველი წრეები საქვეყნო საქმეებზე მოსალაპარაკებლად შეკრებილან „შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავსა იმერნი და ამერნი „ბოროტად გუაჭირვებენ-ო“ შეკრებილ დიდებულებს ქვეყნის მონობისგან განთავისფლება შესაძლებლად მიუჩნევიათ, თუმცა „უმეფო ვართ, არამედ შევრკბეთ ყოველნი და ვბრძოდეთ თათართაო,“ ამგვარად „დაამტკიცეს ომი და დადვეს პაემანი ქართლის შეკრებისა“ მაგრამ, როგორც საქართველოს ისტორიაში არაერთხელ მომხდარა, საიდუმლო გამჟღავნებულა, მონღოლებს ეს ამბავი სწრაფად შეუტყვიათ და ამას მოჰყოლია შეთქმულთა შეპყრობა და ანისის შირავაკანში წაუსხამთ, სადაც ისინი სასიკვდილოდ გამეტებულები, სიცხეზე გაშიშვლებული, გამოსატეხად ყოველდღე იკითხებოდნენ, მაგრამ მიუხედავად მძიმე სატანჯველისა, შეთქმულებმა არ გასცეს საიდუმლო, ისინი ერთხმად უმტკიცებდნენ ნოინს თქვენი ხარკის მოსაკრებად ვიყავით შეკრებილებიო. სწორედ მაშინ მოუსწრო დიდებულებს ცოტნე დადიანმა და „ჰქმნა საქმე საკვირველი“, მან კოხტასთავის შეკრების მიზეზად იგივე დაასახელა, რაც დანარჩენმა დიდებულებმა და მათი სასჯელი გაიზიარა „მეც მათთან ერთად ვყო“ და „მათთან ერთად მოვკვდე“. მისი საქციელით გაკვირვებულმა ნოინმა ცოტნეს დაუჯერა, დატყვევებულნი უდანაშაულოდ აღიარა და ცოტნეს გამოუცხადა „ვინათგან ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებ, შენდა მონდობილ ვართ,“ და წარჩინებულები გაანთავისუფლა. აი, ასეთია ცოტნე დადიანის გმირობა, მან თავისი ღირსი საქციელით გადაარჩინა არა მარტო უმეფოდ დარჩენილი ქვეყნის „ყოველნი მთავარნი“, რომელთა მიზანი სამშობლოსათვის მონობის უღელის მოშორება და თავისუფლება იყო, არამედ გადაარჩინა საქართველოს სახელმწიფოებრიობაც, ვინაიდან ქვეყანას შეუნარჩუნდა ის წარჩინებული დიდებულები, რომელთაც უნდა აღესრულებინათ „ყოველთა ქართველთა“ ოცნება–ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

***დალი გერგაია,***
***(ივანე ჯავახიშვილის მიხედვით. ტომი III).,***

## ცოტნე–თავდადების მაგალითი



ცოტნე დადიანი–სარწმუნოების, სიყვარულისა და თავდადების მაგალითია ჩემთვის. დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ცოტნეს სულითა და ვაჟკაცობით აღსავსე რიგითი ქართველები, რომლებიც უჯარისკაცებენ ქვეყანას... მისეული სულიერი ძლიერებაც გვმართებს, რადგანაც რწმენადაკარგული ადამიანის დამარცხება ძალზე ადვილია... შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ცოტნე დადიანი წმიდანად შერაცხა, რომლის ხსენების დღეც 12 აგვისტოს აღინიშნება. მინდა ყველა ქართველს მივულოცო ეს დღესასწაული და წმიდანს შევთხოვო ქართველი ერის გამთლიანება, რომ თითოეულ ქართველს მოჰმადლოს ძალა მოყვასისადმი სიყვარულისა და მეგობრისადმი ერთგულებისა.რათა საქართველოში კვლავ ისმოდეს „დიდება შენდა უფალო“ და ტკბილი „მრავალჟამიერი.“

***ლელა შამათავა.***

## გმირობის აღმატებული ხარისხით...



ცოტნე გმირია, თანაც გმირობის აღმატებული ხარისხით, ზნეობრივი გმირი!

ბავშვობიდან ამ სულისკვეთებით აღზრდა და დედის რძესთან შესისხლხორცებული იდეა, ყველა ქართველს პოტენციურ გმირად აყალიბებდა იმ უამრავი გმირობისა და თავდადების მაგალითთან ერთად, რომლითაც მდიდარია საქართველოს ისტორია.

ჩვენი ქვეყანა საუკეთესო ასპარეზი იყო ყველა დროში გმირობისათვის, მით უმეტეს, უფლისმიერი კოდი „ენა, მამული, სარწმუნოება“ ქართულ გენში ძალუმად გამოისახა.

ჩემთვის პირადად, ცოტნეს გმირობასთან წილნაყარია ყველა დროის ყველა ქართველი, რომელმაც საქართველოსთვის, ქრისტიანობისთვის გაიღო ყველაზე ძვირფასი-სიცოცხლე, საქართველოს სახელს ერთი ნათელი სხივი შემატა თავისი კალმით, ფუნჯითა თუ საჭრეთელით, თავისი ზნეობით აამაღლა საქართველოს დიდება.

ამ დღეებში ყველა ქართველი სულით ხორცამდე შეძრა და ალბათ ყველა ჩვენგანს სიამაყის გრძნობა დაეუფლა, როცა ოთო გურგენაშვილის გმირობა შეიტყო...

ჩემთვის ოთო გურგენაშვილი ცოტნეს ტოლია!

**ხათუნა ხორავა.**

## ხალხმა შეიყვარა და უკვდავყო

– „ცოტნეობა“, უპირველეს ყოვლისა, მეგობრობის, ერთგულების, რაინდობის ზეიმია.. ზნეობრივი სიღრმეების, ხალხისაგან აღიარებისა და მისი განმტკიცების დღეა! მონღოლების შემოსევა და ჩვენი ქვეყნის აოხრება მძიმედ დააჩნდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას... მსგავსი ამბები საქართველოს ისტორიაში ბევრჯერ განმეორებულა... მტერი ბევრი გვყოლია, მაგრამ ცოტნე დადიანის ქმედების ტოლფასი საქციელი „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებს“ ჩვენთვის არ შემოუნახავს.. ხალხმა შეიყვარა ცოტნე, გმირად შერაცხა და მისი სახელი უკვდავყო. მეც ჩემი ხალხის შვილი ვარ და ჩემი ხალხის დარად, პატივს ვცემ დიდ ქართველს... ვუსმენ , ვსწავლობ ხალხის სიბრძნეს და მგონია, რომ იდეალი, რაც ხალხმა, საზოგადოებამ წამოსწია, უკვდავია.

მოგეხსენებათ, რომ ბოლოდროინდელმა ხობის მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებულმა გათხრებმა ბატონებს რევაზ პაპუაშვილსა და გოგიტა ჩიტაიას გამოათქმევინა ძლიერი ვარაუდი იმისა, რომ ძველ დადიანთა საძვალეში დიდი ალბათობით უნდა იყოს ცოტნე დადიანის ძვლები.... ეს დიდი ისტორიის და ხობელების პასუხისმგებლობის, პატრიოტობის, მამულიშვილობის ცოტნეს სახელის წინაშე, ჩვენი ქვეყნის წინაშე განცდებს კიდევ უფრო გაზრდის.



ცოტნე ჩვენი იდეალია... რაინდობის სიმბოლოა და ზოგადად თითოეული ჩვენთაგანიც ცოტნეა შეძლებისდაგვარად.

**ნანა ბუკია.**

## მინდა ბევრი ცოტნეობდეს!

ცოტნე დადიანი ჩემთვის არის ქვეყნისთვის თავდადებული მამულიშვილი, რომელმაც შთამომავლობას გმირობისა და ერთგულების მაგალითი მისცა. მე პირადად მის სახელს ვატარებ. თანატოლებში ძალიან ცოტას ერქვა ცოტნე, ახლა უფრო ხშირად ვხვდები. მაინტერესებდა რატომ დამარქვეს ეს სახელი. ბევრი რამ წავიკითხე ცოტნე დადიანის შესახებ. ვიგრძენი, რომ ეს სახელი დიდ მორალურ პასუხიმგებლობას მოიცავს. თუ ცოტნე ხარ, უნდა იყო ღირსეული, ძლიერი სულის მატარებელი და ულალატო მეგობარი. შეიძლება დღევანდელ ყოფაში ეს ღირსებები ზოგისთვის უფერულად ჩანდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ აუცილებელია სწორედ ამ ღირებულებებით იცხოვრო. ძალიან მინდა, ბევრი ცოტნეობდეს და ის მხოლოდ 12 აგვისტოს არ ახსენდებოდეთ. მაშინ ვიქნებით წინაპართა ღირსეული შთამომავალნი.



***ცოტნე გუჩუა,***
***ქალაქ ხობის №2***
***საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე***

## საქართველო ასეთი გმირებით ამაყია



ქართველმა საქართველოს ბევრჯერ დაუმტკიცა სიყვარული. მიუხედავად ყველაფრისა,ჭარბობდა სამშობლოსთვის დავდადებული გმირები. ქართველში იმდენად ძლიერია ეს გრძნობა, რომ არაერთხელ გაუოცებია სიმამაცით,უშიშრობით.

სამშობლო არის სისხლი და ხორცი, სხეულის ნაწილი, სიცოცხლე, რომელის გარეშე არსებობა არ შეიძლება. არამარტო წარსულში, დღევანდელ ისტორიულ მოვლენებშიც მოიპოვება ცოტნეს მსგავსი გმირები, ყველას ჩამოთვლა გაგვიჭირდება, მაგრამ მოვიყვან გიორგი ანწუხელიძის მაგალითს, მტრებმა შეიპყრეს, აწამეს, დაასახიჩრეს, ვერ გამოტეხეს, ოსეთის მიწის კოცნას აძალებდნენ, ჩექმებით შედგნენ ზურგზე, მაგრამ გაუძლო ყველაფერს და ვერ დააჩოქეს...

ამაყია საქართველო ასეთი გმირებით. ჩემთვის ეს გმირი ცოტნე დადიანია.მჯერა კიდევაც დაიზრდებიან, არასოდეს დათმობენ თავიანთ მიწა-წყალს სიცოცხლის ფასად დაიცავენ. საქართველოს ისტორია სხვა ქვეყნების ისტორიასაგან გამოირჩევა იმით, რომ პატარა ქვეყანას ჰყავს გმირები და მათში პატრიოტიზმი უმთავრესია, ღმერთივით ძლიერია. დიახ, არიან თანამედროვე ცოტნე დადიანები, რომლებიც სამშობლოს გადასარჩენად მეგობრებთან ერთად სიცოცხლეს გაწირავენ .

**ნინო კემულარია**

# ცოტნეს გმირობას გაუქვავებინა მონღოლთა ბანაკი

1245 წელს მონღოლ დამპყრობთაგან შევიწროებული საქართველო უპატრონოდ დარჩა. ლაშას აღსრულების შემდგომ ტახტზე ასული თამარის ასული რუსუდანი წინ ველარ აღუდგა იმ დროის მსოფლიოში ყველაზე მძლავრ საომარ ძალას და მამულზე დარდი და წუხილი სამარეში ჩაიყოლა. მონღოლებმა ტახტის კანონიერი მემკვიდრის გამეფება არ ინებეს და ქვეყანა სამართავად ქართველ ერისმთავრებს დაუნაწილეს. 8 დუმნად დაყოფილი ქვეყანა დამპყრობლებმა მძიმედ დახარკეს - ხარაჯის (ბეგრის, რომელიც ყოველწლიურად 50 ათას ოქროს პერპერას უდრიდა) გადახდის გარდა, ომის შემთხვევაში ქართველები თავიანთი ჯარებით მონღოლთა რიგებში უნდა ჩამდგარიყვნენ.

ბრძოლა კი არ წყდებოდა. ცხენის ზურგზე და კარვებში გაზრდილ მონღოლებს მუდამ ლაშქრობებზე ეჭირათ თვალი და ქართველებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ - მონღოლთა სახელით უნდა ებრძოლათ...

### კოხტასთავის შეთქმულება

ორი წელი უძლებდნენ ქართველები ბეგარას, მაგრამ მუდმივ ომებში სხვისი საქმისთვის თავგანწირვასაც საზღვარი ჰქონდა და ერისმთავრები ჯავახეთში, კოხტას ციხეში შეიკრიბნენ და „ბჭობად დასხდნენ“, თუ როგორ აღდგომოდნენ წინ მონღოლებს. გადაწყდა, რომ ერისმთავრები გაერთიანდებოდნენ და ერთიანი ძალით მოიშორებდნენ დამპყრობლის უღელს. შეთქმულთა შორის იყვნენ: ეგარსლან ბაკურციხელი, სარგის თმოგველი, ვარამ გაგელი, ივანე-ყვარყვარე ჯაყელი, კახაბერ კახაბერისძე, შოთა კუპრი, თორღა პანკელი, გამრეკელი თორელი და ცოტნე დადიანი. ითათბირეს, ჯართა შეყრის ადგილიც დათქვეს და წასასვლელად მოემზადნენ. პირველად ცოტნე დადიანი დაადგა ოდიშის გზას, დანარჩენებიც აღიკაზმნენ, მაგრამ კოხტასთავიდან გასვლა ველარ მოასწრეს. მოულოდნელად მონღოლთა ჯარი გამოჩნდა და ერისმთავრებს გარს შემოერტყა...

არც გამცემი და მოღალატე აკლდა საქართველოს...

### ერისმთავართა წამება

მონღოლთა მთავარ ბანაკში, ანისში, მიიყვანეს შებოჭილი ერისმთავრები და ნოინთა შორის აღმატებულს, ჩარმაღანს, წარუდგინეს. ჰკითხეს ქართველებს შეთქმულების მიზეზი. „შევიკრიბეთ, რათა განვაგოთ საქმენი თქვენნი და ხარაჯა განგიჩინოთო“, - იყო პასუხი. არ



დაიჯერეს მონღოლებმა და ქართველთა გამოსატეხად მათი წამება გადაწყვიტეს. შეთქმულები გააშიშვლეს, ტანზე თაფლი შეაზილეს, თოკებით შებოჭეს და მზის გულზე, შუა მოედანზე, დაყარეს...

ცალკე სიცხე და ცალკე სირცხვილი სწვავდათ ქართველებს. ისხდნენ თავჩაქინდრულნი, კრაზანებისაგან დაკბენილ-დასივებულნი, მშიერ-მწყურვალნი. აუარება ხალხი მოდიოდა მათ სანახავად, მონღოლები ყოველდღე ჩასჩიჩინებდნენ, - გამოტყდით და გაგვიმხილეთ თქვენი შეკრების ნამდვილი მიზანი, თორემ ტანჯვა-წამებით სიკვდილი მოგელითო... ქართველებიც ყოველდღე იმას იმეორებდნენ, რაც ერთხელ უკვე მოახსენეს ჩარმაღან ნოინს...

სიკვდილის აჩრდილი გადმოსწოლოდა ანისის მოედანს...

### „საით, სარდალო?!“

აფხაზ-ოდიშართა გულანთებულ ლაშქარს ჯავახეთისკენ ცოტნე დადიანი მიუძღვის წინ. რამდენი წელია, ერთიანი ჯარით მტრის წინააღმდეგ არ გამოსულა საქართველოს და როგორც იქნა, შეიკრიბა ამერ-იმერი...

მიაღწიეს დათქმული პაემნის ადგილს. გაუკვირდათ ფრიად - არსად ჩანდა სრულიად საქართველოს ლაშქარი...

ამასობაში ანისიდან მოსული მაცნე მიეახლა ცოტნე დადიანს და აუწყა შეთქმულების გაცემის, მოთავეების შეპყრობისა და მათი წამების ამბავი. ცოცხლები თუ არიანო, - მიაძახა თავზარდაცემულმა მაცნეს. - ცოცხლები არიან, მაგრამ ვაი ასეთ სიცოცხლესო...

განმარტოვდა ცოტნე დადიანი, ლოცვად ხელაპყრობილმა უფალს შეავედრა ფიცით შეკრული, ტანჯული მეგობრები და სრულიად საქართველო...

ჯარს გამოხედა - ყველას უსაზღვრო წუხილი აღბეჭდოდა სახეზე, ყველა მზად იყო, თავი შეეკლა მონღოლთათვის, მაგრამ კარგად იცოდნენ: ვერც ერისმთავრებს დაიხსნიდნენ და გამძვინვარებული მონღოლები საქართველოსაც წაახდენდნენ...

ბრძანება გახმიანდა მეომრებში - ლაშქრული წყობის აურევლად უნდა გავბრუნდეთ დასავლეთისკენო. წელმოწყვეტილნი შეტრიალდნენ მოლაშქრენი. ცოტნემ დაარიგა რაზმების მეთაურები და ცხენი გამოაბრუნა...

ორიოდ ერთგული მხედარი მაშინვე გვერდში ამოუდგა დადიანს. - საით, სარდალო? - შეჰკადრეს. - ანისისკენ, - მტკიცე ხმით მოჭრა ცოტნემ და ცხენს მათრახი უჭირა...

### „კაცი პატიოსანი და სათნოებიანი“

მიჰქრის ცოტნე დადიანი ანისის ხრიოკ გზაზე. არც ცხენს ზოგავს და არც თავს. „ჩქარა! ჩქარა! - ზარივით რეკავს გონებაში ეული სიტყვა...

მიჰქრის თითქმის უეჭველი სიკვდილისკენ საკუთარი ნებასურვილით, შეგნებულად და მოყვასისთვის თავდადებით...

არა, სიკვდილის შიში რა სათქმელია, საქართველო არ ააოხრონ შეთქმულებით გაგულისებულმა მონღოლებმა, ხალხს არ აზღვევინონ მეთაურთა განდგომა. იქნებ მიუსწროს, დაარწმუნოს ჩარმაღან ნოინი, როგორმე ხელი აალებინოს საქართველოსკენ გამოლაშქრებაზე...

უნდა მიუსწროს, „ჩქარა, ჩქარა...“ - უნაგირზე ველარ ისვენებს ცოტნე!

აგერ ანისიც. სიცხისა და ხვატის ალმური ასდის მოედანს. ქართველი ტყვეების გარშემო შემოჯარულან მონღოლები, შესცქერიან და ჰკვირობენ მათ გაუტეხლობას...

წყურვილით დახეთქილ ტუჩებს იკვნეტენ შებოჭილი ერისმთავრები, რათა კვნესა არ აღმოხდეთ აუტანელი ტანჯვისაგან...

მხედარი შემოიჭრა მოედანზე. შეჩოჩქოლდნენ მონღოლები, იარაღი ააჟღარუნეს, იცნეს ცოტნე დადიანი - „კაცი პატიოსანი და სათნოებიანი, ბრძოლათა შინა სახელოვანი...“

ცხენიდან გადმოხტა და შეთქმულებთან დაიჩოქა ცოტნემ, მსწრაფლ გაიძრო ტანსაცმელი, თაფლი შეიზილა ტანზე, მოსართავები ააჭრა ცხენს, მხარმკლავი თავისივე ხელით შეიბოჭა და გაწამებულ თანამებრძოლთა შორის ჩაჯდა...

ტყვეებს ნათელი გადაეფინათ სახეზე, მონღოლებს სიტყვა გაუწყდათ...

სამარისებული მდუმარება ჩამოწვა მოყაყანე მოედანზე...

† † †

ჩარმაღან ნოინს თათბირი ჰქონდა სეფეკარავში. მცველები შემოიჭრნენ და მოახსენეს ცოტნეს არნახული და არგაგონილი თავგანწირვის ამბავი...

გამოვიდა კარვიდან ჩარმაღანი, გზა უტიეს მონღოლებმა...

გასუსულ მოედანზე გაისმა ნოინის ხმა - ასეთი თავგანწირვის მიზეზის ახსნას ითხოვდა მონღოლი...

წამოიმართა ცოტნე დადიანი: - მეც ვიყავი კოხტასთავში, ვთათბირობდით, რათა ხარაჯა შეგვეკრიბა თქვენთვის. თუ ამისთვის ჩემს თანამემამულეებს სიკვდილი გადაუწყვიტეთ, მაშინ მეც მათთან ერთად უნდა მოვკვდე, რადგან ჩემს გარეშე არ ჩაუვლია თათბირსო...

განცვიფრდა ჩარმაღან ნოინი - ასეთი გმირობისა და თავდადების ამბავი ჯერ არ სმენოდა და ბრძანა: „ვინაიდან ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა ტყვე ქართველთა შენ მოგანიჭებთ და განგიტევებთ და შენდა მონდობილ ვართ...“

აჰყარეს ბორკილები ერისმთავრებს. თავი დაუკრა ჩარმაღან ნოინს ცოტნე დადიანმა, ტყვედყოფილი თანამებრძოლნი სათითოად გულში ჩაიკრა.

წასასვლელად აღიკაზმნენ და დაიძრნენ...

ჩარმაღან ნოინი მანამდე იდგა ანისის მოედანზე მდუმარე და გამტკნარებული, ვიდრე ქართველები თვალს არ მიეფარნენ...

ცოტნეს გმირობას გაექვავებინა მონღოლთა ბანაკი...

საქართველო კიდევ ერთხელ გადარჩენილიყო...

*მოამზადა*
***ზვიად სეხნიაშვილმა***
*ჟურნალი „კარიბჭე“,*

---

*შოთა ნიშნიანიძე*

## ცოტნე დადიანი



მეგრული სიმღერებიდან და მეგრული მოთქმიდან
ისმის ცხენის თქარუნი და ჭიხვინიც მოდიდდა.
იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური აფრიდან
ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან აფრინდა?
მთვარის ყაბალახიანი,
ღამის ნაბდიანი
მიდის, მიიჩქარის ცოტნე დადიანი.
რახანია ეკლესიებს შესევია ჭილყვავი,
და ციხეებს აზიური სიმღერები ჭირხლავენ,
ცას უყეფენ კოცონები და კარვები მონგოლთა...
ვერ იქნება კოხტაგორა საქართველოს გოლგოთა!
-მაშ გაფრინდი, ბედაურო, გრძელფეხება,
კანჭწვრილო,
ოჩოკოჩის გახედნილო და ჭინკების გაწვრთნილო,
არც ქერი გაქვს, არც არაყი, არც მოთმენა, არც ძილი,
-ახრამუნე ჰორიზონტი... გადახუხე მანძილი...
ჩქარობს,
ჩქარობს,
ჩქარობს,
ავსებული ურვით,
ცოტნე დადიანის რაინდული გული...
. . .
ისევ ისმის თქარუნი
და ჭიხვინი რაშის,
ვხედავ სამეგრელოდან ამხედრებულ აჩრდილს,
მოჭენაობს,
მოგელავს
თოხარიკით. ..
ჩორთით...
ფაფარივით აწეწილა საუკუნის შფოთი...
ამ ყიჟინით, ამ სულით, ამ მარადი ლტოლვით
ისევ ფხიზლობს უძველესი მეომარი ტომი.
ისევ ფეთქავს, ისევ სცემს, ლეგენდებად თქმული,
პატარა საქართველოს რაინდული გული...

# „ჩვენი ზაფხული ხობში“


19 ივლისი


19 ივლისი


20 ივლისი


21 ივლისი


24 ივლისი


25 ივლისი

დაიწყო ზაფხულის არდადეგები და ახალგაზრდებს ახალი საზრუნავი გაგვიჩნდა–„როგორ გავატაროთ საღამოები?“ ყველამ კარგად ვიცით, რომ ზაფხული ის დროა, როცა ახალგაზრდების უმრავლესობა დროს უაზროდ ფლანგავს ქუჩაში, კომპიუტერთან, ეს ყველაფერი კი უარყოფით გავლენას ახდენს მათზე, ზუსტად ამაზე ფიქრმა გადაგვაწყვეტინა თეატრის წინ შეგვექმნა ადგილი, სადაც გავერთობოდით, მოვაწყობდით სპორტულ თუ ინტელექტუალურ შეჯიბრებებს, სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, უკეთ გავიცნობდით ერთმანეთს, შევიძენდით ახალ მეგობრებს და ა.შ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ დღესაც თანატოლები უფროს მეგობრებთან ერთად შევიკრიბეთ და შევთანხმდით შეგვექმნა პროექტი–„ჩვენი ზაფხული ხობში“.

გთავაზობთ ჩვენს მიერ ჩატარებული საღამოების დღიურს:

ჩვენი პირველი შეხვედრა 19 ივლისს შედგა. ჯერ მხიარულად მივესალმეთ დამსწრე საზოგადოებას, დავიწყეთ სიმღერა, ბავშვები უკრავდნენ სხვადასხვა მუსიკალურ საკრავებზე, ვკითხულობდით საკუთარ და სხვა ავტორთა ლექსებს, თავიდან მასში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იღებდა მონაწილეობას: ნიკა ჩიტაია, ლუკა ლოლუა, ნია კვაშილავა, ბელა გვასალია, მარი გვასალია, ქეთი სართანია, ფრიდონ გამისონია, მიშიკო გერგაია და მე ანი ჯობავა. ერთი სიტყვით, პირველ საღამოს ყველანაიარად ვეცადეთ დავახლოვებოდით საზოგადოებას და გაგვეცნო მათთვის ჩვენი შემოქმედება და მიზანი, თუ რას ემსახურებოდა ყოველივე ეს. ჩვენ არც ერთ საღამოს არ ვგეგმავდით რამდენიმე დღით ადრე, ყველაფერი ექსპრომტად ხდება... მართალია, თავიდან მონაწილეთა რაოდენობა არ გვაკმაყოფილებდა, მაგრამ შემდეგ სულ უფრო და უფრო იმატა თანამოაზრეთა რიცხვმა.

20 ივლისი ხალხურ ფოლკლორს დაეთმო.

21, 22, 23, 24, 25 ივლისი ცეკვის კარაოკეს, სპორტულ შეჯიბრებებს და გასართობ თამაშებს მიეძღვნა.

26 ივლისს, ჩვენ მივულოცეთ წარმატება და მსოფლიოს ჩემპიონობა ხობელ მოჭიდავეს ჯონი ხეცურიანს, მის საპატივცემლოდ გაიმართა მასშტაბური ღონისძიება, რომელსაც უამრავი ადამიანი დაესწრო, ჩემპიონს გამარჯვება მიულოცა ახლად ჩამოყალიბებულმა ბენდმა, რომლის შექმნაც ამ საღამოების და ჩვენს ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს... მიუხედავად იმისა, რომ ბენდი–„ნერვული შეტევა“ სულ რამდენიმე დღის ჩამოყალიბებული იყო, მისმა დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. მადლობას ვუხდით ბენდის წევრებს: დასარტყამი ინსტრუმენტი–ბექა ესებუა, ელექტრონული გიტარა–ნიკა ჩიტაია და ლუკა ლოლუა, კლავიში–გიგი ლოლუა და ვოკალი–ანი ვეკუა.

27 ივლისს ხობს ესტუმრა აბაშის ფოლკლორული ანსამბლი „ჰარირა“ და ქვემო ქვალონის თემის ქირეოგრაფიული ანსამბლი „კოლხა“ და საუკეთესო ნომრები წარმოგვიდგინეს.

28 ივლისს ბავშვები გაერთიანდნენ ღონისძიებებით და მუსიკალური ნომრებით.

29 ივლისის საღამო კი საკმაოდ ამაღელვებელი აღმოჩნდა, კონცერტი გამართეს ძმებმა დავით და შოთა ადამაშვილებმა.


27 ივლისი


27 ივლისი


28 ივლისი


29 ივლისი

ეს კონცერტი, დაემთხვა ჩემს დაბადების დღეს, მეგობრებმა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა როზეტა შულაიამ, მონაწილეებმა, საჰაერო ბუშტებით, ყვავილებითა და კეთილი სურვილებით დაბადების დღე სახალხოდ მომილოცეს.

30, 31 ივლისსა და 1, 2, 3, 4 აგვისტოს საღამოებს ვატარებთ მხიარულად, ცეკვის კარაოკეებით, მუსიკებით, მაგიდის ჩოგბურთით გართობით და დიდი ოდენობით პოზიტივით.

„ჩვენი ზაფხული ხობში“ მონაწილეთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ველით ჩვენი თანატოლების ინიციატივებს, წინადადებებს, იდეებს.

მობრძანდით საღამოობით ხობის ცენტრში და თქვენ დარწმუნდებით, რომ დრო ტყუილად არ დაკარგეთ, რომ თქვენც ერთ-ერთი საღამოს, ერთ-ერთ მონაწილედ იქეცით.

მოდით, ყველამ ერთად ვეცადოთ თვითონვე და ერთად გავილამაზოთ ზაფხული...

გპირდებით, რომ ასეთი საღამოები მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდება.

**ანი ჯობავა.**

**პროექტ „ჩვენი ზაფხული ხობში“ მონაწილე.**

# ჩვენი დროის ცოტნე

*(ოთო გურგენიშვილის ხსოვნას)*

**აფხაზეთის მთებს შევკაზმავ საქართველოს კალამით,**
**ქართველებო, ქართული განდაგანა გაუსვით.**
**გამარჯვების ღვინო მოვსვი სისხლიანი ხორხით,**
**მგლოვიარე ქართველი ვარ, თავს ენგური მაწვიმს.**
**მუხლმოკვეთილ სამაჩაბლოს ვეზიარე მორთხმით,**
**ჩვენი დედა საქართველო დღესაც იცავს ბარძიმს.**
**რომ სამების ხარაჩოებს მტრედი აღარ გამოსცდეს,**
**გთხოვ შემინდე უფალო, თხოვნა თუკი წამომცდეს,**
**რომ ლექსებით ვისულდგუმელებ მანამ წავალ სამოთხეს,**
**ღმერთო შეგთხოვ, ეს გული აფხაზეთით გამოთბეს.**

*(ოთო გურგენიშვილი)*




„ჩემო უმრწმესო და ცოცხლად უნახავო, მაგრამ უკვე ლეგენდარულო და საამაყო მოვლენად ქცეულო, ღირსეულო მამულიშვილო და სულიერი სიმაღლის თვალშეუდგამო და „ნათლის გვირგვინით მოსილო“ ჭეშმარიტო რაინდო, ჩემო ძვირფასო და აწ უკვე მარადიულობის ბინადარო, ოთო!

დღეს შაბათია, 2 აგვისტო. უკვე ჩამობნელდა კიდეც. ეს წუთია, რუსთავიდან დავბრუნდი. მე დღეს იქ ჩაველი ერთდროულად - შენს სანახავად და შენთან სამუდამოდ დასამშვიდობებლად. ასეთი რამ, ალბათ, უიშვიათესად ხდება, როცა ახალგაზრდა კაცის გასვენებაში მისულ მის ვირტუალურ მეგობართა უმრავლესობას იგი ცოცხლად არასოდეს უნახავს და, ამის მიუხედავად, მის დაკარგვას განიცდის როგორც უახლოეს ადამიანთან სამუდამო განშორებას... შენ ეს სასწაული მოახდინე... და ჩვენ იქ მოვედით არამხოლოდ იმიტომ, რომ ამ რამდენიმე დღის წინ შენ გასაოცარი გმირობა ჩაიდინე (თუმცა ასეთებიც ბევრნი იყვნენ), არამედ ჩვენ გამოვეთხოვეთ უძვირფასეს მეგობარს, უახლოეს ადამიანსა და თანამოაზრეს, რომლის ფიზიკურად ხილვა უკუღმართმა ბედმა არ დაგვაცალა...

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მე შენი სულის მოსახსენებელ ტრაპეზზე დავჯდებოდი, მაგრამ შენი მეგობრების დაჟინებული თხოვნით მე იქ მოვხვდი. ოთო! შენ იცი, რომ მე ასაკით შენზე სამჯერ უფროსი ვარ, მაგრამ ამ ხნის კაცს თუ ე.წ. „ქელეხის სუფრა“ გამაოცებდა, ვერც კი წარმოვიდგენდი და ეს მეორე სასწაულიც შენ მოახდინე: ერთდროულად ამდენი ცრემლი, ასეთი სიჩუმე და ამდენი ტაში გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ეს იყო არა შენი ქელეხი, არამედ შენი პოეზიის, შენდამი მიძღვნილი პოეზიის ცრემლიანი საღამო, რომელსაც იმ მოყმის დედაც ესწრებოდა, რომელსაც ამაყად შეუძლია თქვას: „ერთ შვილ ხომ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია“... ამიტომაც გაისმა სუფრაზე შენი დედიკოს მისამართით ვაჟას სიტყვები: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“... ცხადია, არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ ბატონმა სუფრის თამადამ გურამ რჩეულიშვილისა და იოსებ ჟორდანიას წმინდა სულებიც მოიხსენია, როგორც შენ მიერ დაუფიქრებლად მიღებული გადაწყვეტილების გასაოცარი ანალოგები - სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარის უყოყმანოდ გაწირვისა. ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს. იქნებ არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ იმ წელს, როგორც ეს ბატონმა თემურ შაშიაშვილმა გაიხსენა (სხვათა შორის, შენ პირადად არც ბატონი თემური გიცნობდა და ასეთები დღეს იქ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ბევრნი იყვნენ), როცა შენ ამქვეყნიერებას მოევლინე, აფხაზეთში გმირულად აღესრულა ჟიული შარტავა. დიახ! ეს იყო 21 წლის წინ! და აი, 21 წლის შემდეგ ქ. რუსთავში კიდევ ერთი გმირი დაიბადა, რომელმაც, ჩვენდა სავალალოდ, მხოლოდ 21 წელი იცოცხლა და მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი... შენ ეს შესძელი, ჩემო ოთო, იმიტომაც, რომ შენ ასეთი იყავი, შენ სხვაგვარად მოქცევა, უბრალოდ, არ შეგეძლო. მე და შენმა მეგობრებმა დღეს პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ შენს სახელსა და ღირსებას თვალისჩინივით გავუფრთხილდებით. ძალიან მესიამოვნა, როცა გავიგე, რომ მათ ჩვენი ვირტუალური მეგობრობის შესახებ ბევრი რამ იცოდნენ...ისიც მითხრეს, თუ როგორ აპირებდი შენ ჩემთვის გაგეცნო „მეცამეტე თვის პოეტები“ - მართლა კარგი ქართველი ყმაწვილები. შენი სახელით ჩვენ დავმეგობრდებით. ვაგლახ, რომ ეს უშენოდ მოხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენი სული ჩვენ არ მიგვატოვებს!!!... ვიცი, როგორ გაგახარებდა იმის შეტყობაც, რომ მე და შენ, თურმე, ნათესაური ძაფებიც კი გვაკავშირედა, რის შესახებაც მე მხოლოდ გუშინ გავიგე. იცი, ოთო, ჩემი მეუღლის ბებია (დედის მხრიდან) შენი მოგვარე იყო და გუშინ, როცა მე შენს მშობლიურ ველისციხეში დავრეკე, აღმოვაჩინე, რომ შენს ჭირისუფალთა შორის რამდენიმე ჩვენი ნათესავიც იმდუღრებოდა ცხარე ცრემლებით... მაგრამ აქვე გამოტეხილად გეტყვი, ეს შორეული ნათესაობა რა მოსატანია იმასთან, თუ როგორი სულიერი მეგობარი და ნათესავი გახდი შენ ჩემთვის ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი გახშირებული ვირტუალური ურთიერთობის შედეგად. ჩვენ ხომ „იმ ავბედითი დღის“ წინა დღეს, 29 ივლისს 13.44 საათზე დავემშვიდობეთ ერთმანეთს და შენი უკანასკნელი სიტყვები იყო: ''გმადლობთ, ბატონო ლევან!“ მეორე დღეს კი ეს ტრაგედია დატრიალდა! ახლა მე გეუბნები, ჩემო ოთო: დიდი მადლობა შენ, რომ იყავი ამქვეყნად! დიდი მადლობა შენს გამზრდელ დედას! დიდი მადლობა ყველას, ვინაც კი შენი გმირობა გაიაზრა და გაისიგრძეგანა. დღეს ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის ეზოში, სადაც შენი ცხედარი ესვენა, თბილისიდან ჩასულ რამდენსამე კაცს მოგვიახლოვდნენ რუსთავის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე და ქალაქის სახელით მადლობა გვითხრეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსთავი ამაყობს შენით. მე კი დარწმუნებული ვარ, გავა დრო და, შენით სრულიად საქართველო იამაყებს. დასასრულ, ისიც მინდა გითხრა, რომ დღეს ჩემი ნაბოლარა ძის-ლუკას დაბადების დღეა. მას 19 წელი შეუსრულდა. წესით ახლა ჩემ ოჯახში სალხინო სუფრა უნდა იყოს გაშლილი, მაგრამ დღეს ეს სრულიად შეუძლებელია. დღეს შენი დღეა და შენთვის დაღვრილი ცრემლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უახლოესი ადამიანის მორიგი დღეობა და ის ამას , რა თქმა უნდა, გაგებით ეკიდება. ერთადერთი, რაც მე მინდა ვინატრო ჩემი შვილისთვისაც და სხვა ქართველი ყმაწვილებისთვისაც, ისაა, რომ, დაე, მათ შეძლონ შენი სულიერი სიმაღლისათვის თვალის შეწვდენა და შენ მიერ განხორციელებული ჭეშმარიტი გმირობის გააზრება. ... მშვიდობით, ჩემო პატარა მეგობარო და უკვე დიადო რაინდო. „დიდება ერსა შენს მშობელს და ძეგლად სამარადისოდ ნეტარხსენება ამ სოფელს“...

ლევან ლევინჯილია.

**P.S. 21 წლის ოთო გურგენიშვილი რუსთავში, ლეონიძის ქუჩაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა. მან სიკვდილს მცირეწლოვანი ბავშვი გადაარჩინა. (რედ.)**

## სულთათანა

*დღეს კულტურის სახლში ჟურნალისტ გოგი ბუკიას სახელობის ტურნირი ჩატარდება*

# მან დაიტოვა უფლება, ეღალატა საკუთარი თავისთვის

**(გოგი ბუკია წელს 60 წლის გახდებოდა)**



იყო ასეთი კაცი–შუქრი მირცხულავა... მურმან ლებანიძემ მასზე დაწერა: შუქრის გულს არავისთვის უღალატია, მაგრამ მან დაიტოვა უფლება, რომ საკუთარი თავისთვის ეღალატაო...

ეს რომ წავიკითხეთ, მახსოვს, გოგიმ თქვა, ამის უფლება მეც მაქვსო. მართლაც, ასე იყო. ეს უფლება მან გამოიყენა კიდეც. ყველაფერში გამორჩეულ კაცად, პიროვნებად რჩებოდა. თუ სუფრასთან ილხენდა, აღარავინ და აღარაფერი გჭირდებოდა, რადგან ის იყო იმ პატარა სამყაროს შთაგონებაცა და უმთავრესი მუხტიც.

გოგი შესაშური შინაგანი თავისუფლების ადამიანი იყო და ეს მასში ყოველთვის აღმაფრთოვანებდა. მთლად ახალგაზრდაც რომ აღარ ეთქმოდა, მაშინაც, ძნელად, ხელოვნურად შეეზღუდა რაიმეთი თავი, ყოველთვის ბუნებრივად და საკუთარი შინაგანი დამოკიდებულებიდან გამომდინარე იქცეოდა და ამას სუფრასთან, ქეიფის დროსაც თვალში საცემად ამჟღავნებდა. რაც გვერდით აღარ მყავს, სულ ვწვალობ–მინდა, მასზე რაიმე დავწერო, მაგრამ ასევე, სულ ეჭვში ვარ, შევძლებ კი მთელი მისი პიროვნული სილამაზის სათანადოდ გააზრებასა და წარმოჩენას? ეს შეგრძნება მაშინვე მიმძაფრდება, როგორც კი ფურცელთან მარტო ვრჩები. მეჩვენება, რომ ვერასდროს ვერაფერს ვამბობ ისეთს, მისთვის რომ მემეტება, მისდამი ჩემს დამოკიდებულებას რომ გამოხატავს.

მისი ერთი თვისება მომწონდა: კალმოსანს არ შეაქებდა, საკუთარ თავზე მუშაობის მოთხოვნილება რომ არ დაჩლუნგებოდა და შემოქმედებითად გაზრდილიყო.

ერთხელ მითხრა, ნოველები მაქვსო, არ ვიცი, თავისი შინაგანი მისწრაფება გამიზიარა თუ უკვე დაწერილი ჰქონდა. შესაძლოა, ეს ჯერ კიდევ მის შიგნით მწიფდებოდა, რადგან მისი პასუხისმგებლობა სიტყვისადმი ყოველთვის განსაკუთრებული იყო.

თომას მანს აქვს პატარა ნოველა „იმედგაცუება“, მართალაც, როცა მსოფლიოს შედევრთა წინაშე დგები, ხვდები, რომ არაფერიც არ შეგიქმნია! გოგისთან ეს განცდა ძალიან მძაფრი იყო, მით უფრო, რომ წლებმა და პროფესიულმა გამოცდილებამ კიდევ უფრო კრიტიკული გახადა, როგორც სიტყვის მიმართ, ისე საკუთარი შემოქმედებისადმი. გახსოვთ კონსტანტინე გამსახურდიას „ფოტოგრაფის“ ბოლო ფრაზა? „ფოტოგრაფმა რომანის წერა დაიწყო, წერდა რომანს სათაურით „ქვეყანა, რომელიც სურათის გადაღებად არ ღირს!“

ტაკუ–ბოკუ უყვარდა ძალიან. ზეპირად იცოდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილი მისი ტანკები. ერთხელაც ვხედავ, საშინლად გაღიზიანებული და დასალევად ატეხილია... რა მოგივიდა მეთქი, ტაკი–ბოკუს სტროფი შემომიბრუნა: „თუ მოგიწია ემსახურო ჭირვეულ რეგვენს, რა საშინელი გეჩვენება მაშინ ქვეყანა“.

ამ პოეტს კარგად ვიცნობდი, მაგრამ მისი ეს პოეტური ფრაზა გოგიმ რაღაც სხვანაირად დამამახსოვრა.

ახლაც თვალწინ მიდგას–ხელაწეული, თავისი ულამაზესი ხელის მტევანგაშლილი...

მისგან გამუდმებით სითბო, სინათლე და სიკეთე მოდიოდა... პირველი შვილი რომ შემეძინა, ბიჭებმა დამასაჩუქრეს, ზოგმა–100, ზოგმა–50 მანეთით. გოგიმ ხაზგასმულად 3 მანეთი მაჩუქა: მე რამდენჯერაც ვნახავ, ასეთ 3-3 მანეთს ვაჩუქებ და მერე ვნახოთ, ვისგან უფრო დასაჩუქრებული გამოვაო...

მისდღემში თავისუფალი იყო ფულისა და მისგან მომდინარე ადამიანური კომპლექსებისგან. ისე იცხოვრა, ფული და სარგებელი არასდროს არაფერში უძებნია. თუ გაიხუმრებდა მხოლოდ: ამ კოლხურ მიწაში ვიღაც-ვიღაცები ოქროს რომ პოულობენ, რა იქნებოდა, ერთხელ მეც მეპოვა ის ფული, ყველა პრობლემა ხომ ერთბაშად მომეხსნებოდაო.

ერთხელ ლებარდეში 87 წლის ბერიკაცი შეხვედრია. გოგის უთქვამს, ბედნიერი ყოფილხარ, ბაბუაო. ბედნიერი ჩემი ძმა იყო, 50 წლისა რომ გარდაიცვალა, მე კი უკვე 5 ძმის სიკვდილი ვნახეო.

რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ვგრძნობ ამ ბერიკაცთან სულიერ ნათესაობას. უკვე რამდენიმე მეგობარი დავასაფლავე, გოგი მათში ყველაზე ახალგაზრდა იყო. ასე მგონია, ეს უმძიმესი ტვირთია, მაგრამ მოვა დრო და ამ წუთისოფლის დატოვებას ესეც გამიადვილებს!..

ერთი უცნობი პოეტის ეპიგრამა მომეწონა ამას წინათ: მე არაფერში ვგავდი სხვებს და ეს იყო ჩემი ტრაგედიაო. ახლა ვფიქრობ, რომ გოგისიც! გოგი ბუკია სხვებს არაფერში ჰგავდა და მის ტრაგედიასაც სწორედ ეს ექცა მიზეზად.

**ენვერ სალაყაია**

**ექსპრომტად გოგი ბუკიას ხსოვნას!**

**რა დრო გასულა ღმერთო, ფიქრივით მეკვრის დარდი,**
**დღეები მისდევს დღეებს, წლები გადის და გადის...**
**დრომ ჩამათოვა თმებში, შუბლს დაამჩნია დაღი,**
**მაგრამ ვერაფრით მოკლა, სურვილი შენი ნახვის!**

*ნაირა ბერაია*

## გმირ პოეტს ოთო გურგენიშვილს

**ვით პოეზია, შენი**
**სიცოცხლე,**
**ღმერთთან მისული სხვა**
**სიცოცხლეა,**
**ცის ზეცაზეა სული პოეტის,**
**და მიწის გულზე ცის**
**თითო ხეა...**
**შენ უკვდავებას ქმნიდი**
**ლექსებით,**
**გარდაცვალებაც გერგო**
**ამგვარი,**
**შენს სამყაროში სხვა**
**ჩაასახლე**
**ყველას თან დაგვსდევს**
**ბედი ამქარი...**
**დედის სითბოთი ძერწე**
**გმირობა**
**და ქანდაკებად ტკივილებს**
**მისევ,**
**შენ ოცდაერთი მოკალ**
**ზაფხული,**
**და ოცდაერთჯერ**
**გაცოცხლდი ისევ...**
**ვით პოეზია, შენი**
**სიცოცხლე,**
**სხვა სამყაროში მზეზე**
**დიდია,**
**შენ ის ქართველი პოეტი**
**გაჩნდი,**
**სადაც სხვა ცაზე მთვარედ**
**კიდია...**

*ნინო კემულარია*

# ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავა



დრომ საკუთარ ჩარჩოებში მოაქცია ნუტის ჩვენს შორის არ ყოფნა... 11 აგვისტოს ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავამ თავისი ლამაზი სიცოცხლე ტრაგიკული შემთხვევის შედეგად დაასრულა! კამკამა მდინარემ მოიტაცა მისი სპეტაკი სხეული. თავზარდამცემმა უბედურებამ შენს მშობლებთან ლევან და მანანა, დაიკომაკოსთან ერთად შეძრა მთელი სოფელი გულისტკივილითა და სინანულით. იმ საღამოს ბოლო წუთამდე არ მინდოდა იმის დაჯერება, რომ შენ წუთისოფლიდან 17 წლის ასაკში გასასვლელად გამოგარჩია უფალმა. ბოლომდე არ ვკარგავდი იმედს, რომ შენს ტკივილიან დედას წუთიწუთზე ახარებდნენ, რომ თავისი საყვარელი ნუტატო ცოცხალი ჰყავდა.

ღირსებით, პატიოსნებით, ქრისტესმიერი სიყვარულის უნარით დაჯილდოებული, მშობლების ღირსეული შვილი იყავი, ნუტი! არასოდეს მინახავს ისეთი მრავლისმეტყველი მზერა, შენ რომ გახასიათებდა და ასეთი ღრმა თვალები, ყველა შენს ღირსებაზე რომ უთბილესი გამოხედვით მეტყველებდნენ. შენი გულთბილი შეხვედრა, სიყვარულით სავსე მოკითხვები.. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გნახე, ნუტი, რას ვიფიქრებდი, თუ ეს დღე უსაშველო მონატრებად გამიხდებოდა. შენი თავდამბლობა გამოგარჩევდა თანატოლებს შორის! სინანულის გრძნობა მეუფლება, იმის გაცნობიერებისას, რომ შენს მშობლებს არ მიეცათ შენი წარმატებებით, ბედნიერებით ცხოვრების გალამაზების შესაძლებლობა. არადა, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, ეს დაემსახურებინათ. შენ უკვე იყავი შემდგარი პიროვნება, სამაგალითო ცხოვრებით–საამაყო ხარ, ნუტი!

შენმა გარდაცვალებამ სიკვდილთან დამაახლოვა! სიტყვებში ვერ ჩაგატევ, ნუტი, იმიტომ რომ

შენ უფრო მეტი ხარ, ვიდრე სიცოცხლე! ვიდრე სიკვდილი! შენ მარადისობა ხარ!

უფალმა დაგიმკვიდროს ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ

*თეონა კვარაცხელია*

# ბოლოდროინდელი აღმოჩენები ხობის მონასტერში



ხობის მუნიციპალიტეტის ძალისხმევითა და ინიციატივით 2013 წლის დეკემბერში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები ხობის მონასტრის ტერიტორიაზე. სამუშაოების მიზანი, ჯერ კიდევ 2012 წლის დეკემბერში შენიშნული, მონასტრის ჩრდილოეთი კედლის პარალელურად გამოვლენილი საძირკვლის ნაშთის რაობის განსაზღვრა იყო. გადაწყდა რამდენიმე საცდელი-საკონტროლო თხრილის გავლება ეკლესიის ეზოში, აქ არსებული სავარაუდო ნაგებობების გამოსავლენად. კომპლექსის დომინანტი ბაზილიკური, დარბაზული ტიპის ტაძარია. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ დღევანდელი სახით წარმოდგენილ ტაძარს ბევრჯერ შეუცვლია არქიტექტურული იერსახე. ნათლად ფიქსირდება გაფართოებისა და მიშენებების კვალი. ბსულ ბოლოს, სამხრეთის გალერეა და ვამეყ დადიანის ეკვდერი მიუშენებიათ, რომელშიც ჩატანებულია მის მიერვე ჯიქეთიდან ჩამოტანილი „სვეტნი და ფიქალნი მარმარილოსანი“ და სავარაუდოდ, როდესღაც, რომელიღაც უცნობი ტაძრის მდიდრულად მოჩუქურთმებული შირიმის ქვისაგან დამზადებული კარნიზები და ბლოკები. საყოველთაოდ ცნობილია და ორიგინალური არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ხობის მონასტერი უფრო იმ სიწმინდეებით იყო განთქმული, რომელსაც ის საუკუნეების განმავლობაში ინახავდა – ღვთისმშობლის კვართი, დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი და სხვ. ამავე დროს, ის დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო რეზიდენციას და რელიგიურ და საგანმანათლებლო ცენტრსაც წარმოადგენდა.

იბადება კითხვა–რამ განაპირობა ტაძარში ესოდენ მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი სიწმინდეების თავმოყრა? რომელი გარემოებების გამო იქცა ის საკათალიკოსო რეზიდენციად? როგორც ვხედავთ, დღევანდელი სახით წარმოდგენილი ტაძარი არც ნეკრესის და ჯვრის ეკლესიებივით ძველია, არც ალავერდივით მონუმენტური, არც ნიკორწმინდასავით დახვეწილი და არც საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს, როგორც ბაგრატი ან სვეტიცხოველი და მიუხედავად ამისა, რატომ მაინცა და მაინც აქ? საიდან ასეთი პოპულარობა? კითხვები ვფიქრობთ ლოგიკურია და ახსნას საჭიროებს.

ტაძრის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ექვ. თაყაიშვილი თვლიდა, რომ ტაძარი X-XI საუკუნეებშია აშენებული, ვ. ბერიძე XIII-XIV საუკუნეების მიჯნას ასახელებს, ვ. კონდაკოვი კი XI საუკუნეს მიიჩნევს. ლეგენდებისა და ხალხში გავრცელებული თქმულებების მიხედვით ტაძრის აშენება ჰერაკლე კეისარს (VII საუკუნის I ნახევარი) უკავშირდება, ზოგი გადმოცემით ის გუბაზ მეფის მკვლელობის ადგილზე აუგიათ. მის აშენებას დავით აღმაშენებელს და ცოტნე დადიანსაც უკავშირებენ. უკანასკნელ ხანს, 2009 და 2010 წლებში ჩატარებულმა მცირემასშტაბიანმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ნაწილობრივ მაინც გამოკვეთა ზოგიერთი დეტალი: აღმოჩენილიქნა ძვ. წ. აღ.-ით VIII-VII საუკუნეების ძველ კოლხური ნამოსახლარები, ძველ დადიანთა საძვალე, სადაც უნდა ვიგულისხმოთ ცოტნე დადიანიც. წელს დადასტურდა, რომ ხობის ტაძარი გაცილებით დიდ ნატაძრალზე დგას, კედლები გამოვლინდა ტაძრის ჩრდილოეთით, აქვე აღმოჩნდა X–XI საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები. მასშტაბური ნაგებობები ჩანს გალავნის გარეთ ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, აქამდე უცნობი ნაგებობათ, ნაშთები გამოვლინდა გალავნის შიგნით ტაძრის სამხრეთითა და აღმოსავლეთით, დაფიქსირდა ადრექრისტიანული ხანის აგურებისა და კრამიტების ფრაგმენტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასახლის დასავლეთით გამოვლენილი ნაგებობათა ნაშთები, აქ ორ კულტურულ ფენასთან გვაქვს საქმე, ზედა ნაგებობა სავარაუდოდ X–XI საუკუნეებისა უნდა იყოს, ხოლო ქვედა ადრექრისტიანული ხანის აგურებით არის აშენებული, რაც ადასტურებს რომ IV-VII საუკუნეებში აქ ნაგებობა მდგარა, ჯერ-ჯერობით ამ ნაგებობათა დანიშნულების შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია, საჭიროა ბოლომდე გაითხაროს და შესწავლილ იქნეს არქეოლოგიური ობიექტი. მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოებისას ერთი საინტერესო მომენტიც გამოიკვეთა, დღევანდელი გალავნის გარეთ უფრო ძველი გალავნის ნაშთები იკვეთება, რომელიც ეტყობა მონასტრის ბორცვის რელიეფს მიუყვებოდა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ხობის ტაძრიდან სამხრეთით 350 და 400 მეტრის დაშორებით ადრექრისტიანული ხანის ნაეკლესიარები ფიქსირდება, ეს ყველაფერი ერთობლიობაში გვაფიქრებინებს, რომ აქ შესაძლოა ეგრისის სამეფოს პერიოდში საკმაოდ დიდი ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ხობის მონასტერი და მისი შემოგარენი ბევრ საიდუმლოს ინახავს, რომელსაც გამოვლენა და შესწავლა სჭირდება. ამ აღმოჩენების ფონზეც უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხობის შესანიშნავი ტაძარი არათუ XIII საუკუნეში, არამედ გაცილებით ადრე ჯერ კიდევ ეგრის-ლაზიკის სამეფოს პერიოდში მნიშვნელოვან კულტურულ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა.

**გოგიტა ჩიტაია.**

# ძეგლი ცოტნე დადიანისა!



**კოლხეთის ძირძველ მიწაზე, ქალაქ ფოთში, დგას ულაყზე ამხედრებული კოლხი რაინდის, ცოტნე დადიანის ძეგლი, რომელიც აღიმართა ბატონი ნუგზარ ნადარაიას ფოთის მერობის პერიოდში.**

ეს სულია ქვა კი არა,
ქვადქცეული უფალო!
ვინც დიდ წარსულს გვაზიარა,
რომ არ გავქრეთ უკვალოდ.
ეს სულია ქარი არა,
ჯვარს გაკრული ქარდაქარ,
აიარა, ჩაიარა,
ამ იარამ კარდაკარ.
ეს სულია სხვისი არა,
ათასწლობით შთენილი,
ჰაი ჰარად, ჰაი ჰარად,
ლოცვად შემორჩენილი.
ეს სისხლია სხვისი არა,
სისხლი კოლხთა, უფალო!
ტყვიამ გულში გაგვიარა,
ვა, სოფელო მუხთალო.
ეს სულია ქვადქცეული,
ჯვარს გაკრული უწყალოდ,
დე, დამთავრდეს გზა წყეული,
გევედრები უფალო.
ეს ექოა ვულკანია,
მკვდრეთით ამოხეთქილი.
ეს კოლხეთის ტიტანია.
რიხით გამოკვეთილი.
ქვა კი არა ყივილია,
წმინდა სისხლის ძახილი,
ეს უღმერთო ტკივილია,
შემართული მახვილი!
ისევ ბორგავს ცოტნეს სული,
აიეტის მხარდამხარ,
მოდგმას უხმობს დაისრული,
სადა ხარ და სადა ხარ.
უნდა აღდგე და იქ დადგე
სადაც ნაფუძარია,
ჩვენ უფალთან ჯვარზე გვაგეს
ღვთისმშობელო მარიამ.
ვინაც შექმნა დიდმა ღმერთმა,
ძალა მისცა მას ბრძოლის,
მით აღუდგა ამდენ დელგმას.
ადგა შუქი დიდგორის,
შუქი წმინდა გიორგის.
დიდი გორგასალისა
შუქი ადგა იმ მოყმის.
ვეფხს რომ თვალი არისხა
და ის იყო იმ გორის
დიდ კოლხების გვარისა.
ღრთუგნვად იმ სატანისა,
ვინც უღმერთოდ დაგვრისხა,
ქმნა საქმისა მადლისა
რუსთველისად ამისა.

**ბადრი ლომაია**

# საეკლესიო–სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“ პროგრამა




**ნომერში გამოყენებულია ირაკლი შონიას ფოტოები**

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.